

ლეო ქიაჩელი

ლეო ქიაჩელის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი მიძღვნილი ერთჯერადი გაზეთი.
თებერვალი, 2024 წელი. ქუთაისი

სერგო ნურნუმია

და მაინც რაკ ქუჩა!..

ჩემი შორეული სიყრმის გაუხუნარი შთაბეჭდილება:

სახლიდან საბავშვო ბაღამდე და უკან მიმავალი თვალს შევავლებ გზისპირას მდგარ დაფას, რომელზეც სათვალისმიღმური ჭკვიანი დაუნჯებული მზერის მქონე, წვეროსანი მამაკაცია გამოსახული და მოგვირისტებული ასოებით მიწერილ სახელსა და გვარს ნაბიჯების რიტმში დამარცვლით ვკითხულობ გონებაში: ლ-ე-ო ქ-ი-ა-ჩ-ე-ლ-ი... ჯერ სკოლას არმიბარებული კითხვას ამ გზითაც ვსწავლობ და შინიდან პურის შესაძენად დილაადრიან გაჩქარებულს ყველა აბრისა და ტრაფარეტის ამოკენკვა იმდენ დროს მიკარგავს, უფროსებს ნერვიულობად აღარ უნდა უღირდეთ ჩემი საყიდლებზე გაგზავნა, სხვა საშველი და გამოსავალი რომ ჰქონდეთ...

დილას – ბაღისკენ მიმავალს თვალი მიმზიდველი დაფისკენ გამირბის: ლეო ქიაჩელი. დასამხრეებულს – შინისკენ გაბრუნებულს ისევ ის დაფა მხვდება სამზერების არეალში: ლეო ქიაჩელი...

ჯერ ნამდვილად არ ვიცი, ვინ არის ეს სიბრძნითა და სიკეთით აღბეჭდილი, დარბაისელი კაცი, რომლის პორტრეტსაც ყოველდღე ორჯერ მაინც რომ უნდა ჩავუარო და რომლის სახელობის ქუჩის ერთი მონაკვეთიც უნდა გადავკვეთო, შინიდან ბაღში და ბაღიდან შინ მისასვლელად... სამაგიეროდ, ის ვიცი, რომ ამ ადგილას დაწყებული გრძელზე გრძელი ქუჩა სადღაც ობუჯში მთავრდება, ჩემთვის ჯერაც უხილავ, მაგრამ უკვე ჯადოსნურად აღქმულ ალაგას...

მერე და მერე გამერკვევა, რომ ეს ზღაპრული ადგილი უნდა გავიარო სანამ ჩემი ბაბუას ძმის სოფელ ჯიხაშკარში ჩავიდოდე... ის კი არა, სწორედ შუაგულ ობუჯში უნდა ჩამოვიდე ავტობუსიდან და ფეხით გავუყვე გზას მოკლეზე ბაბუად მიღებული კაცის სახლამდე მისაღწევად... იქ კი – იმ სოფლის შუაგულში ძველებური მეგრული ოდასახლი და უცნაურად მიმზიდველი შენობა დგას გვედიგვერდ და წინ იმ ჩემთვის ნაცნობ დაფაზე აღბეჭდილი კაცისსახიანი ბიუსტი შემოუდგამთ მაღალ კვარცხლბეკზე. აქაც წარწერა – ლეო ქიაჩელი...

ჯერ ბავშვობის გრძელზე გრძელი ათი წელიწადი უნდა გავიდეს, სანამ გავიგებდე და გავითავისებდე, ვინ არის ეს დიდებული კაცი, ჩემი კუთხის, ჩემი რაიონის, ჩემი ქალაქის სიამაყედ რომ ქცეულა, მაგრამ გავიგებდე იმას და ზუსტად იმდენს, რამდენიც იმდროინდელ ხელისუფლებას ემეტება და ესურვილება, რომ გაგვაგებინოს და დაგვამახსოვრებინოს...

მერე დიდხანს იტრიალებს ჩვენს კინოეკრანებზე „ტარიელ გოლუა“ და გულისგულამდე ჩაგვაბეჭდინებს თითოეულ პერსონაჟს, გადამოგვიშლის ჩვენს მხარეში ოდესღაც დატრიალებულ სიყვარულისა და სიძულვილის, ვაჟკაცობისა და სიმუხთლის ტრაგიკულ ამბებს... თუმცა იმის გასიგრძეგანება, რომ ამ ყველაფრის შემოქმედი და თავწყარო ჩვენი თანაკუთხელია, ჩვენს წინაპართა შორის აღზრდილი, ლაკადური კეთილშობილების ზნედ ამკრები, აქაური მადლის მომსხმელი და აქაურებში დაფრთიანებული, ტარიელ გოლუას, ლევანის, თინას, გიოს, გაიოზ გადალენდიას, ბაჩუას სახეების ჩვენს ბაბუა-ბებიებს შორის ამომცნობი და ამომძერწავი, ჯერ კიდევ გასაცნობიერებელი გვაქვს...

ეს მოგვიანებით მოხდება, უკვე მეშვიდე კლასამდე მოღწეული რომ სასკოლო სახელმძღვანელოში აღმოვაჩენთ ლეო ქიაჩელსაც და მის „ტარიელ გოლუასაც“, როცა ვარო მასწავლებელი ქართული ლიტერატურის გაკვეთილზე გაგვანათლებს და გაგვიმხელს, რამდენად საამაყო თანაკუთხელი გვყავს ამ მწერლის სახით, რომ მთაწმინდაზე დავანებულ ერის სათაყვანო შვილთა შორის ერთ-ერთი სწორედ ის გახლავთ – ლეო ქიაჩელი...

ყოველ გაკვეთილს მოჰყვება დავა და კამათი მდინარე ბროლიას გამო, ეს ხომ ჩვენი სიყრმის ემბაზი მდინარე ჭანისწყალია!.. ხომ ჭანისწყალია?.. ჭანისწყალია თუ არა? სამცაცხვის გამო, მაცხოვრის ტაძართან მოშრიალე და ჩვენთვის აგრე ნაცნობი სამი ცაცხვის ძირას ტრიალებს რომანში აღწერილი სცენები თუ არა?.. არა, ეგ სხვა სამცაცხვია, – გვეუბნება მასწავლებელი და ოდნავ გვინელებს გახელებულ წარმოსახვას, არადა, დაჯერება არ გვინდა, რომ წიგნის ფურცლებზე აღწერილი ამბები ჩვენსას არ ხდება, იმდენად ნაცნობია ყველაფერი, იმდენად მახლობელია იქ აღწერილი ყოველი ადამიანი... ამათ ხომ ჩვენც შევსწრებივართ, ბევრი მათგანი ცოცხლად გვიხილავს, სახლებში გვყოლია ბაბუებისა და ბებიების სახით, გზაში შევხვედრივართ, მოკრძალებით, ზეწამომდგარნი გავსაუბრებივართ, ბაბუ-პაპუებს – ულვაშგადაწკეპილებს, შავჩოხოსნებს, ქამარ-ხანჯლებითა და ქილა-მასრებით წელ და მკერდდამშვენებულებს, ბებია-პეპიებს – ხილაბანდწაკრულებს, სადა კაბებსა და ქალამნისდარ ჩუსტებში გამოწყობილებს...

მე განსაკუთრებით მიმართლებს, რაკი ხატვის ნიჭს, თანდაყოლილს და საახლობლოში უკვე გამჟღავნებულს, მარჯვედ იყენებს ჩვენი ქართულის მასწავლებელი, ჩემივე კარის მეზობელი ქალბატონი და გაკვეთილების განმავლობაში გაუთავებლად მახატვინებს ილუსტრაციებს. ივსება საკლასო ოთახის კედლები ჩემგან გადახატული რომანის სცენებით, ჩემთვის სულ უფრო ძვირფასი და საყვარელი ხდება თითოეული მათგანი...

მერე გავიგებ, რატომ დაერქმევა მიხა შენგელაიას, ობუჯელი გულფიცხი აზნაურის ვაჟიშვილს ქიაჩელი...

გავიგებ, რომ თურმე ოდესღაც დიდი შიშიანობის გამო აფხაზეთის სოფელ ჯგერდიდან ძმები კაკაჩიების მიერ გამორიდებული ქიაჩის ხატი ობუჯში დავანებულა...

რომ ამ შორს და დიდად სახელგავარდნილი, სამართლის მჭრელი, ფიცის შემწყნარებელი და რისხვის მომღები წმიდა ხატის მცველებად დადგენილან სწორედ შენგელაიები...

რომ საკუთარ გვართან ამ ხატის კავშირის შემცნობი ახალგაზრდა მწერალი შორეული მოსკოვიდან ერთხელაც მოიწერდა: „ქიაჩი ხშირად გამახსენდება, და ვფიქრობ, მას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემს ცხოვრებაში. მგონია, რომ მე ის მწყალობს... მე მესაჭიროება ისეთი ძალა, რომელიც მწყალობს... მე პირადად არც ღმერთი მწამს და არც ეშმაკი, მაინც მინდა, რატომღაც რომ ჩემი ძირი ხატი მწყალობდეს. ძალიან მინდა! სულის მოთხოვნაა“...

რომ იმ ხატზე შვიდთა წმიდა ანგელოზთაგანი – რაფაელი ყოფილა გამოსახული და თითქოს მწერლის უმთავრეს ცხოვრებისეულ კრედოდ ქცეული ზედწარწერა ყოფილა დართული: *„იქმოდეთ კეთილსა და ბოროტმა არა გიპოვნეს თქვენ“*...

რომ ხატის სახელის კეთილხმოვანებასთან ერთად მისი სიძლიერეც გადამწყვეტი შეიქნებოდა მწერლისთვის ფსევდონიმის არჩევისას...

მაგრამ ჯერ შორს არის ყოველივე ამის შეცნობა-შეთვისებამდე... ჯერ ვზივარ ჩამოუყალიბებელი ყმაწვილი მშობლიური სკოლის მერხთან და სანამ სხვები ტარიელის, ლევანის, ბაჩუას ამბებს უყვებიან მასწავლებელს, მე ვხატავ, ვხატავ გაუთავებლად... და მერე ამ სიტყვისმიერი თუ ფანქრისმიერი სურათ-ხატებით ერთნაირად ივსება ოთახის კედლები და ჩემი ჯერ კიდევ ყმაწვილკაცურად ყოვლისშემსრუტველი გონება...

***

წლების გამოღმაც ბედისწერასავით ამედევნება ქიაჩელის სახელი... იქ, სოხუმში, „ჰაკი აძბას“ პერსონაჟების ნავალ ქუჩებში დავხეტიალობ, მეჩვენება, საუკუნის დასაწყისის ყოველი შენობიდან უჯუშ ემხა, ჰაკი, სამსონ დავანაძე, ნარიქ ეშბა, რაჟდენ თორია უნდა გამოვიდნენ და გაეჩქარონ-მეთქი კუზმა კილგასა და ვასკა ხრიტანიუკის სახით მოვლენილ ბედისწერასთან შესახვედრად... რათა აღსრულდეს ის დრამა, რომელმაც უკვდავი ნაწარმოები უნდა უშვას ლიტერატურას...

და აქაც, ქუთაისშიც, უკვე დევნილობის ხანს, ისევ ლეოს ნაკვალევზე სიარული იქნება ჩემი ხვედრი და განგების განაჩენი... თითქმის ყოველდღე უნდა ჩავუარო იმ ციხის შენობას რომელშიც გამოამწყვდიეს რევოლუციის გზაზე შემდგარი მწერალი და სიცოცხლის ბოლომდე განუყრელი მეგობრის, დავით სულიაშვილის თქმით, რომლის საკანშიც მიიღო უმთავრესი გადაწყვეტილება: კალმით ემსახურა სამშობლოსთვის...

აქ მოხვედრილს, დილის ბინდბუნდში, როცა ქვეყანა ჯერაც აჩრდილთა საუფლოს არის შერჩენილი, ცხადად მეჩვენებიან ფანცხავების ოჯახიდან გაყვანილი გვირაბით საპყრობილეს თავდაღწეული, საგუბერნიო ქალაქის ქუჩებში მიმოფანტული ლეო ქიაჩელი და მისი თანასაკნელი ბიჭები... ქუთაისში დავაჟკაცებულმა და დაფრთიანებულმა, აქაურობის საკუთარი ხუთი თითივით მცოდნე ლეომ მშვენივრად უწყის, საით უნდა გაუტიოს, რომ უკვე გამოფხიზლებულ და აწრიალებულ ჟანდარმერიას დააღწიოს და გადაირჩინოს თავი...

აჰა, გარბიან კიდეც, მესხეთის ქუჩიდან ვიწრო შუკა-შესახვევებში დურთავენ თავს და განერიდებიან სახიფათო ალაგს... და იქვე გამაძაგძაგებს, წამით წარმოვიდგენ, რითი დასრულდებოდა ყოვლადგაუგონარი გაქცევა, შენგელაიას თავზეხელაღებული ბიჭი აქაურობის უბადლო მცოდნე რომ არ ყოფილიყო და განრისხებულ მდევარს ჩავარდნოდა ხელთ!..

ვეჭვობ, ქიაჩელობამდე მიეღწია მაშინ და მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურაც როგორი ღარიბი დარჩებოდა მისი გონების მიერ შენათხზი უკვდავი პერსონაჟების გარეშე!

(ამონარიდი ესედან)

ლეო ქიაჩელის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი მიძღვნილი ერთჯერადი გაზეთი. თებერვალი, 2024 წელი

ასე დაიწყო... ასე გრძელდება...

ლეო ქიაჩელის ბიბლიოთეკის ახალი სიცოცხლე

1954 წლის 9 სექტემბერი. ადრიანი შემოდგომის მზე ბუნების საგანძურში თითქოს საგანგებოდ აქსოვდა თავის მცხუნვარე, მაცოცხლებელ სხივებს, რომ სიუხვის კალთა პირთამდე აევსო დოვლათითა და ბარაქით. ამ დროის ბუნებას მოღაღანე ყვავილებიც არ დაეშურებინა, რათა სიხარულით გაცისკროვნებულ სოფელთან ერთად მშობლიურ უბეში მიეღო მართლაც ტრიუმფატორი, საყოველთაოდ აღიარებული ქართველი მწერალი, პროზის შეუდარებელი ოსტატი, საზოგადო მოღვაწე, ესოდენ ამაგნაღვაწი შვილი, **ლეო ქიაჩელი**.

70 წელს თმებზე დაეთოვა ეპოქის უბადლო მემატიანისთვის, მაგრამ რა წელგამართულად მოუძღოდა იგი საქართველოს კალმის ოსტატთა მთელ ჯგუფს, უახლოეს კოლეგებსა და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კვლავ ზიარებოდა ბავშვობისა და ყრმობის მოგონებებს, ბროლიას შხეფების ციმციმს, პირლაღად შეჰგებებოდა მარად უკვდავი ტარიელის, ლევანის, ბეჟანისა თუ გიოს ნაშიერთ, რომელთა თავისუფალმა შრომამ ესოდენ ააყვავა და წარმტაცი გახადა მთელი ეს კუთხე, მით უფრო სოფელი ობუჯი.

რა წარმტაცი სანახავი იყო ერის ესოდენ მოამაგე, კურთხეულ შემოქმედთან მშობლიური ლაციცი, მართლაც და მადლიერების გრძნობით აღსავსე ტრიუმფი.

მთელი სოფელი, რაიონის პარტიული, საბჭოთა ხელმძღვანელობა, შრომით პატივდებული ადამიანები, ინტელიგენცია, დიდი და პატარა, ზღვა აღფრთოვანებასა და ტაშის გრიალში შეეგება ლეო ქიაჩელისა და მისი მეგობრების ჩამოსვლას.

ზეიმობდა წალენჯიხა, ობუჯი... გზა რაიონის ცენტრიდან სოფლამდე უჩვეულო სიხარულს მოეცვა. შარისპირად გამოფენილი ქალი და კაცი, დიდი და პატარა მამაპაპური პურმარილით, ლაკადური გულუხვობით ხვდებოდნენ დიდ მწერალს, სტუმრებს...

სოფლის მაშინდელი მოედანი, პირღიმილიანი ადამიანების ჯარობა... აი, თაიგულების ტევრში მოაბიჯებს ღვაწლმოსილი პირმშო, მასთან ერთად ერის პატივდებული შემოქმედნი... აღტაცების ყიჟინა...

ზეიმი სოფლის კლუბში... აქაც ყვავილებში ჩაფლული იუბილარი...

რა გულთბილი, შთამბეჭდავი აზრები გამოთქვეს მისმა კალმის მეგობრებმა დიდი შემოქმედისა და უწმინდესი მოქალაქის ლეო ქიაჩელის მისამართით, ასევე რაოდენ სიგულითადობით იყო აღსავსე რაიონის შვილთა, თანასოფლელების მილოცვები და მოგონებანი.

ყველაზე აღმაფრთოვანებელი მაინც თვით იუბილარის, ლეო ქიაჩელის გამოსვლა იყო, მან მთელი გულით გამოხატა უსაზღვრო სიყვარული მშობლიური ერისადმი, ამ კუთხისადმი, ობუჯისადმი... იგი ხომ, როგორც ამას იმოწმებს პატივცემული აკაკი თოფურია თავის კრიტიკულ-ბიოგრაფიულ ნარკვევში „ლეო ქიაჩელი“, წერდა: *„ტარიელი, ხალხური, ოდნავ იდეალიზებული ლიტერატურული სახეა, რომელიც უეჭველად შეიცავს კონკრეტულ დამახასიათებელ ნიშნებს იმ ადამიანებისას, რომელთაც ვიცნობდი ბავშვობაში და შემდეგ, ასეთს მაღალს, ტანახოვანს, პირდაპირსა და თავმომწონე გლეხებს, დიდი საზოგადოებრივი ზნეობისა და გმირული, ხალხური ტრადიციების მატარებელს მე ბევრს ვიცნობდი ჩემს ცხოვრებაში, კერძოდ, ობუჯში მე ვმეგობრობდი ბავშვობაში და შემდეგშიც – მთის ხალხის ამნაირ წარმომადგენლებს, მეჯოგე ფიფიებსა და მესხიებს, აღსავსეთ ფიზიკური და სულიერი სიკეთით, რომელთა მოგონება ახლაც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს, ამათი ანარეკლია ჩემი „ტარიელ გოლუა“.*

შეხვედრის მეორე დღე, 10 სექტემბერი ზეიმობის კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახდა, ამ დღეს ჩაეყარა საფუძველი, მწერლის დანაზოგი თანხებით, ლეოსეული ბიბლიოთეკის შენობას, რაღაც სიმბოლური გახდა საძირკვლის ამოღება. აქ პირველი ბარი დაჰკრეს სტუმრებმა, ქართული სიტყვის ოსტატებმა – **გერონტი ქიქოძემ, კარლო კალაძემ, გიორგი შატბერაშვილმა, დავით სულიაშვილმა, ხუტა ბერულავამ, ალექსანდრე გომიაშვილმა, სერგი ჭილაიამ, ელიზბარ უბილავამ** და სხვებმა...

დღესაც უძვირფასეს მოგონებად მრჩება, რომ ამ მშენებლობაზე რაიონის ხელმძღვანელობასთან, მშრომელებთან ერთად პირველი ბარი მეც დავკარი.

და ჩვენ, რაღაც ორი წლის თავზე წალენჯიხელები, ობუჯელები, რარიგად გაგვანებივრა პატივცემული ლეოსა და ერის სასიქადულო შვილთა ხელახლა წვევამ. 1956 წელს გაიხსნა ლეოსეული ბიბლიოთეკა. მწერალმა თავის გულმხურვალე სიტყვაში რაღაც მობოდიშებით, მოკრძალებულ წვლილად ჩათვალა მშობლიური სოფლისთვის გადაცემული ეს დიდი და საშვილიშვილო ნობათი.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ **შალვა დადიანი, სიმონ ჩიქოვანი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გერონტი ქიქოძე, ალექსანდრე ქუთათელი, აკაკი დევიძე, შოთა მესხია**, გაზეთ „სახალხო განათლების“ მაშინდელი რედაქტორი **გრიგოლ საჯაია**.

ლეო ქიაჩელმა, ერის ამ დიდმა მემატიანემ სიცოცხლეშივე დაიმსახურა სამშობლოს ესოდენ გამორჩეული სიყვარული, პატივი და დიდება.

ლეო ქიაჩელს – ამ უბადლო შემოქმედს, როგორც სერგო კლდიაშვილი წერდა, – არაფერი დაუზოგნია იმისათვის, რომ თავისი ქვეყანა დიდებით მოსილიყო: ნახევარ საუკუნეზე მეტი იმოღვაწა როგორც მწერალმა, თავგანწირულად იბრძოდა ხალხის უფლებრივი თავისუფლებისათვის და ბოლოს ახალგაზრდა, საიმედო მეცნიერი, თავისი ერთადერთი ვაჟიც მსხვერპლად მიიტანა, რომ ბარბაროსებისაგან დაეხსნა ჩვენი ქვეყანა. ამაზე მეტი რა შეიძლება მოეთხოვოს ადამიანს?!

დიდი ლეო სიცოცხლის გამარჯვების მომღერალი იყო, მისი ჰარმონიული სული ბედნიერი მერმისისთვის იღვწოდა... ამ უფაქიზეს შემოქმედს უსაზღვროდ უყვარდა ადამიანი და მართლაც მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება კაცთმოყვარეობის ქადაგება იყო...

დიახ! ლეო ქიაჩელი ლოცულობდა კაცურ კაცზე, მითუმეტეს, ალალმართალ, გამრჯე, ჭირში გაუტეხელ ქართველზე. იგი ლოცულობდა იმ ლაკადაზე, რომლის პირმშოც, მისი გმირებივით – ტარიელ გოლუა და ბათუ ქარდუასავით თვითონ იყო.

დღეს ზეიმობს და სულ უფრო უკვდავებაში გადადის ლეო ქიაჩელის, ნიკოლოზ და დემნა შენგელაიების, შოთა მესხიას და შემოქმედებით ამომავალ ახალ ვარსკვლავთა კრთომით გაცისკროვნებული წალენჯიხა, ობუჯი.

შოთა ფიფია, „ეპოქის უბადლო მემატიანე“
(ლეო ქიაჩელის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სიტყვიდან).

გაგრძელება ბოლო გვერდზე

ბიბლიოთეკის ახალი შენობის გახსნა

ლეო ქიაჩელის სახელობის ობუჯის სასოფლო ბიბლიოთეკის ახალი შენობის გახსნა

(სტატია ორმოცდაათიანი წლების ადგილობრივი გაზეთიდან)

გამოჩენილი ქართველი მწერლის **ლეო ქიაჩელის** დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით ზემდგომი ორგანოების დადგენილებით მისივე სახელი ეწოდა ობუჯის სასოფლო ბიბლიოთეკას.

მხცოვანმა მწერალმა მოისურვა, საკუთარი სახსრებით აეშენებინა და მშობლიური სოფლის მშრომელებისათვის უსასყიდლოდ გადაეცა ბიბლიოთეკის ახალი, კეთილმოწყობილი შენობა. თანასოფლელები აღფრთოვანებით შეხვდნენ ამ გადაწყვეტილებას და 1954 წელსვე მოხდა შენობის საძირკვლის ჩაყრა, რასაც მწერალ ლ. ქიაჩელთან ერთად დაესწრო მრავალი სტუმარი. მათ შორის გამოჩენილი ქართველი მწერლების ჯგუფი.

ობუჯელ კოლმეურნეთა აქტიური შრომითი მონაწილეობით უმოკლეს ვადაში ხორცი შეესხა მწერალ ლ. ქიაჩელის ამ ღირსშესანიშნავ ინიციატივას.

7 ივლისს (1956 წ.) სოფელ ობუჯის ცენტრში, ბიბლიოთეკის ახალი, ფაქიზადნაგები შენობის წინ თავი მოიყარეს იმავე სოფლის ორივე კოლმეურნეობის წევრებმა, სოფლისა და რაიონის ინტელიგენციამ, პიონერ-მოსწავლეებმა, მეზობელი რაიონების მშრომელთა წარმომადგენლებმა, ცნობილმა ქართველმა მწერლებმა.

ახალი შენობის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო მიტინგს ხსნის ამავე სოფლის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ი. ქებურია**, იგი სოფლის მშრომელების სახელით მადლობას უძღვნის საყვარელ მწერალს ასეთი უანგარო საჩუქრისათვის.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ: პოეტი **სიმონ ჩიქოვანი**, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი **ა. დევიძე**, ობუჯის საშუალო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლე **გ. მესხია**, მწერალი **დავით სულიაშვილი**, ობუჯის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი **ლ. კილავა**, მწერალი **აკაკი ბელიაშვილი**, წალენჯიხის საშუალო სკოლის მოსწავლეები **ი. ზარანდია** და **ი. ქელბაქიანი,** მწერლები **კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გერონტი ქიქოძე** და **შალვა დადიანი**.

დასასრულს სიტყვით გამოვიდა მწერალი **ლეო ქიაჩელი**. მან გულითადი მადლობა გადაუხადა მშობლიური სოფლის მკვიდრთ და მოუწოდა ახალი კიდევ უფრო მაღალი წარმატებებისათვის.

ლეო ქიაჩელის სახელობის ბიბლიოთეკა ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე კეთილმოწყობილი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა რაიონში. მისი წიგნადი ფონდი 10 ათასს აღემატება. ნათელი სამკითხველო დარბაზი საჭირო ინვენტარ-მოწყობილობით, მრავალი წიგნითა და ჟურნალ-გაზეთებით, უეჭველია, რომ ერთ-ერთ საყვარელ ადგილად, კულტურის კერად გადაიქცევა ობუჯის მშრომელებისათვის.

ლეო ქიაჩელი

(ავტობიოგრაფია)

დიდი მწერლის ეს ავტობიოგრაფია 1959 წელს არის დაწერილი და იგი დღემდე ხელნაწერის სახით არის მოღწეული. ამჟამად ის წალენჯიხის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება. ხოლო ჩვენი გაზეთის მომდევნო გვერდებზე დაბეჭდილი ავტობიოგრაფია აღებულია 1959 წელსვე მოსკოვში გამოცემული რუსულენოვანი წიგნიდან „საბჭოთა მწერლების ავტობიოგრაფიები“. ის უფრო სრულყოფილი და მოცულობითი დოკუმენტია, ვიდრე ეს ხელნაწერი, ამიტომაც აქვე გთავაზობთ მის ჩვენეულ თარგმანს. ორივე დოკუმენტი ავსებს და ამდიდრებს ერთმანეთს. ვფიქრობთ, ასე უფრო წაადგება ლეო ქიაჩელის ცხოვრებითა და შემოქმედებით დაინტერესებულ მომავლის მკვლევრებს!..

მწერლის ავტოგრაფი ჩვენს ხელთ ქალბატონი *ნინო მიქავას* დამსახურებით აღმოჩნდა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ მას.

დავიბადე 1884 წლის თებერვლის 19-ს წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში.

ჩემი მშობლები ხელმოკლე აზნაურები იყვნენ.

მამაჩემი – მიხეილ ზურაბის ძე შენგელაია – განათლებული კაცი იყო. მას ქუთაისის გიმნაზიის ექვსი კლასი ჰქონდა დამთავრებული.

დედაჩემს – მართა კეღუცას ასულ ხვიტიას – სკოლაში არ უსწავლია, მაგრამ წერა-კითხვა იცოდა. დედამ შემასწავლა ანბანი იმხანად ქართველ თავადაზნაურთა ოჯახებში გავრცელებული წესით.

ქუთაისის გიმნაზიაში, სადაც მამამ შვიდი წლისა მიმაბარა, დაიწყო ჩემი ცხოვრების ახალი პერიოდი. გიმნაზიელები მალე გაგვიტაცა მოწინავე იდეებმა. დავაარსეთ წრე, რომელიც მიზნად ისახავდა შეესწავლა მშობლიური ქართული მწერლობა და ისტორია. ამ წრეს ჰქონდა ხელნაწერი ჟურნალი „მომავალი“, სადაც გამოვაქვეყნე ჩემი პირველი მოთხრობა „სიზმარი“.

წრის წევრებში ძლიერდებოდა რევოლუციური სულისკვეთება, რასაც ხელს უწყობდა ამ დროს როტშილდის ქარხნის მუშათა გაფიცვები ბათუმში და პოლიტიკური დემონსტრაციები, რომელთაც სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ხელმძღვანელობდა.

ჩვენ სერიოზულად ჩავუჯექით მარქსიზმის შესწავლას და არალეგალური მუშაობა გავაჩაღეთ ქუთაისის მუშებსა და ახლო მდებარე სოფლების გლეხობაში.

1904 წელს დავამთავრე ქუთაისის გიმნაზია და ამავე წელს ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შევედი.

ამ დროს სტუდენტთა რევოლუციურმა მღელვარებამ დიდი და საყოველთაო მოძრაობის ხასიათი მიიღო. მე არ ვტოვებდი არც ერთ დემონსტრაციას, ვავრცელებდი პროკლამაციებს და ვაწვდიდი ქარხნებთან და ფაბრიკებთან არსებულ მუშათა წრეებს არალეგალურ ლიტერატურას.

1905 წლის დამდეგს უნივერსიტეტი დროებით დახურეს და ჩემს სამშობლო კუთხეში დავბრუნდი. აქ გახურებული რევოლუციური მოძრაობა დამხვდა. აღარ დამიყოვნებია, მოძრაობის ხელმძღვანელთა მწყობრში ჩავდექი. აჯანყებულებმა იარაღი აჰყარეს პოლიციას, გადააყენეს ძველი ადმინისტრაცია, სატუსაღოებიდან გაათავისუფლეს პატიმრები, ხელისუფლებას დაეუფლა ხალხი, რომელსაც სოციალ-დემოკრატია ხელმძღვანელობდა.

მაგრამ მას შემდეგ, რაც მოსკოვში დეკემბრის აჯანყება დამარცხდა, დაიწყო რეაქციის საყოველთაო თარეში. 1906 წლის დამდეგს დამაპატიმრეს და მომათავსეს ქუთაისის ციხე-კოშკად წოდებულ საგუბერნიო სატუსაღოში. პოლიტიკურ პატიმრებს მკაცრი განაჩენი მოგველოდა.

1907 წლის დამლევს სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ ქუთაისის ციხის ქვეშ ხვრელი გაიყვანა. იმ 36 პატიმარს შორის, რომლებიც ხვრელით ციხიდან გაიქცნენ, მეც ვიყავი. ეს გაბედული გაქცევა ქუთაისის საპატიმრო ციხე-კოშკიდან ავწერე რომანში „სისხლი“.

დავაღწიე თუ არა თავი ქუთაისის ციხეს, ამხანაგებმა მიშოვეს საიმედო პასპორტი და მოსკოვს მივაშურე.

აქ სწავლა განვაგრძე კომერციული ინსტიტუტის ეკონომიურ დარგზე, დავეწაფე თეატრს, ვეცნობოდი იმ დროის გამოჩენილ მწერლებსა და პოეტებს, ვესწრებოდი მათ გამოსვლებს, დისკუსიებს, თვალყურს ვადევნებდი ახალ ლიტერატურას.

ამ ლიტერატურული და თეატრალური ატმოსფეროს მეოხებით მალე წერა დავიწყე. პირველ ხანებში ჩემი შემოქმედება ობუჯში გატარებული ბავშვობის მოგონებებით იკვებებოდა. ვწერდი რეალისტურ მოთხრობებს.

1910 წელს დავწერე ოთხმოქმედებიანი დრამატული პოემა, რომლისთვისაც გამოვიყენე ბავშვობისას ობუჯში გაგონილი წარმტაცი ზღაპარილეგენდა სამი დედის შვილზე. პოემა დაიბეჭდა 1911 წელს ფელეტონებად, თბილისის ერთ-ერთ პოპულარულ გაზეთში.

დაიწყო 1912 წელი. მოსკოვი შეუდგა 1812 წლის სამამულო ომის ასი წლისთავისათვის მზადებას. მეფის ჩამოსვლის მოლოდინში ქალაქს დაუწყეს „წმენდა“ არაკეთილსაიმედო ელემენტებისაგან. აუცილებელი შეიქნა, დაუყოვნებლივ დამეტოვებინა მოსკოვი. მეგობრებმა მიშოვეს ექვსთვიანი საზღვარგარეთული პასპორტი, გამოვემშვიდობე მოსკოვს და მივაშურე ჟენევას, სადაც 1907 წელს ქუთაისის ციხიდან გაქცეული ჩემი მეგობრები ცხოვრობდნენ.

ჟენევაში საბავშვო მოთხრობის დაწერა ვცადე. პირველი მოთხრობა გამომივიდა და დაუყოვნებლივ თბილისში გავგზავნე. ამას მოჰყვა სხვა მოთხრობებიც, რომლებიც შემდეგ ცალკე კრებულად გამოიცა.

ახალი მოთხრობისათვის მასალის ძიებაში გონების თვალი ისევ მშობლიურ ობუჯს, ბავშვობის შთაბეჭდილებებს მივაპყარი. მომაგონდა ერთი ყრუ-მუნჯი მეზობელი, უღარიბესი გლეხის შვილი, საოცრად მარდი, ღონიერი, რომელიც ნახევრად შიშველი დადიოდა და მუდამ თავის თავთან უცნაურ კამათში იყო გართული. ბავშვებს გვეშინოდა მისი, მაგრამ გვიყვარდა კიდეც, მუდამ ხროვად დავდევდით და მისი უცნაური საქციელით ვერთობოდით.

ჟენევაში მე მას მამამისის ბაჩუას სახელი შევარქვი და პატარა მოთხრობის გმირად დავსახე, მაგრამ ნაწარმოები არ გამომივიდა. მარცხს ჩავუფიქრდი და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ჩემს გმირს, დღევანდელი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, იდეურ-მხატვრული დატვირთვა აკლდა; როცა მოთხრობის გადამუშავება დავიწყე, გამიელვა აზრმა – ბაჩუას ცხოვრება 1905 წლის გლეხობის რევოლუციურ მოძრაობასთან დამეკავშირებინა. მეხსიერებაში გაცოცხლდნენ აჯანყების მეთაურ გლეხთა სახეები, რომელთაც ზუგდიდის მაზრაში რევოლუციური მუშაობის დროს დავუახლოვდი. ჩემი შემოქმედების წინაშე დაისახა ამოცანა – მხატვრულად ამესახა 1904-1905 წლების რევოლუციური ამბები. ასე შეიქმნა მოთხრობა „ტარიელ გოლუა“, რომელიც დამთავრებისთანავე წავუკითხე ქართველ ემიგრანტთა ჯგუფს. ამხანაგებმა მომიწონეს ნაწარმოები და გადავწყვიტე, თბილისში გამეგზავნა გამოსაქვეყნებლად.



უცხოეთში თავს მოუსვენრად ვგრძნობდი – გული შორეული სამშობლოსაკენ მიმიწევდა. ეს განწყობილება თანდათან ძლიერდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მორალურად მე, როგორც რევოლუციონერი, კმაყოფილი უნდა ვყოფილიყავი, განსაკუთრებით იმის გამო, რომ უცხოეთში გავეცანი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ბელადებს და ხშირად ვიმყოფებოდი მათ წრეში.

პირადად ვიცნობდი ვ. ი. ლენინს, რომელიც ხშირად ჩამოდიოდა ჟენევაში. ვხვდებოდი პლეხანოვს, მარტოვს, დანს, ლუნაჩარსკის. მიუხედავად ამისა, მაინც ჩემი შთაგონების პირველი ცოცხალი წყაროსაკენ – საქართველოსაკენ, მშობელი ხალხისა და ბუნებისაკენ მივისწრაფოდი. და, აი, ერთ მშვენიერ დღეს რუსეთის კონსულისაგან სამშობლოში დაბრუნების ვიზა მივიღე.

თბილისში რომ ჩამოვედი, ცნობილი მწერალი ვიყავი – „ტარიელ გოლუას“ უკვე მიექცია საყოველთაო ყურადღება. ერთ ხანს არალეგალურ მდგომარეობაში მომიხდა ყოფნა. ჩამოსვლიდან მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ – 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ მომანიჭა თავისუფლება.

1917 წელს თბილისში დაარსდა საქართველოს მწერალთა კავშირი. მე ჯერ გამგეობის, შემდეგ გამგეობის პრეზიდიუმის წევრად ამირჩიეს. აქ გაცხოველებულ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მუშაობაში ჩავები. ბევრ დროს და შრომას ვახმარდი მწერალთა კავშირის პირველი ბეჭდვითი გამოცემების რედაქტორობას, ლიტერატურულ მოხსენებებს და სხვ.

რამდენიმე მოთხრობის და ნოველის დაწერისა და გამოქვეყნების შემდეგ 1923-24 წლებში ჩავიფიქრე ახალი რომანი. მე ის წარმოდგენილი მქონდა, როგორც „ტარიელ გოლუას“ გაგრძელება, რომელსაც უნდა აესახა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება რეაქციის წლებში და ხალხის ბრძოლა თვითმპყრობელურ-მემამულური წესყობილების წინააღმდეგ ამავე პერიოდში. რომანს ვუწოდე „სისხლი“. იგი ცალკე წიგნად გამოქვეყნდა 1928 წელს.



1932-33 წლებში გაცხოველებული საკოლმეურნეო მოძრაობის პერიოდში – მე და ცნობილ კინორეჟისორ ნიკოლოზ შენგელაიას შემოგვთავაზეს, დაგვეწერა სცენარი ამ დიდი სახალხო მოძრაობის თემაზე. ჩვენ შემოვიარეთ როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი საქართველოს თითქმის ყველა კუთხე და დიდძალი მასალა დავაგროვეთ. ასე იშვა მხატვრული კინოფილმი „ნარინჯის ველი“, რომელმაც წარმატებით შემოიარა მთელი საბჭოთა კავშირის ეკრანები. მაგრამ ფილმში მთლიანად არ გამოგვიყენებია ის მდიდარი მასალა, რომელიც შევკრიბეთ. ამიტომ გადავწყვიტე, შეგროვილი ახალი მასალისა და რევოლუციამდელი სოფლის ცხოვრების ცოდნის საფუძველზე ახალი ნაწარმოები დამეწერა; ასე შეიქმნა რომანი „გვადი ბიგვა“. 1941 წელს „გვადი ბიგვას“ მიენიჭა მეორე ხარისხის სტალინური პრემია. რომანი ითარგმნა რუსულ და სხვა მოძმე ხალხების ენებზე. 1941 წელს „გვადი ბიგვა“ გამოვიდა ლონდონში ინგლისურ ენაზე. მალე გამოქვეყნდა ესპანურ ენაზეც (ბუენოს-აირესში), შემდეგ გერმანულად (ბერლინში), ჩეხურად და სლოვაკურად (პრაღაში), უნგრულად (ბუდაპეშტში), ბულგარულად (სოფიაში), რუმინულად (ბუქარესტში), პოლონურად (ვარშავაში), ინდურად (დელში), ჩინურად (პეკინში).

1945 წლის დამლევს წარმოებას დასაბეჭდად გადაეცა დიდი სამამულო ომის მასალაზე დაწერილი ჩემი ახალი რომანი „მთის კაცი“.

1939 წელს ლიტერატურული მოღვაწეობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დამაჯილდოვა შრომის წითელი დროშის ორდენით, 1946 წელს – მეორედ იმავე ორდენით და მედლებით „მამაცური შრომისათვის“ და „კავკასიის დაცვისათვის“, 1954 წელს დაბადების 70 წლისთავთან და ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით კი – ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის მეორე ყრილობამ ამირჩია სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად, უფრო ადრე არჩეული ვიყავი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრად.

1959 წელი.

ლეო ქიაჩელის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი მიძღვნილი ერთჯერადი გაზეთი. თებერვალი, 2024 წელი

ლეო ქიაჩელი

(შენგელაია ლეონ მიხეილის ძე)

ავტო ბიო გრაფია

დავიბადე 1884 წელს, 19 თებერვალს, საქართველოს ერთ-ერთ უმშვენიერეს კუთხეში სამეგრელოში, წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში. ჩრდილო-აღმოსავლეთით ის ებჯინება დასავლეთ კავკასიონის მთაგრეხილის კალთებს, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით შავიზღვისპირეთის სანაპიროს ვრცელ დაბლობებს ესაზღვრება და მისკენ მინდვრებითა და საუკუნოვანი ტყეებით დაფარული ულამაზესი გორაკების ტერასებად ეშვება. რაიონის კლიმატი საკმაოდ მკაცრია, განსაკუთრებით ზემო ნაწილში, თუმცა, ობუჯიდან მოყოლებული, რომელიც დაბლობისკენ გასასვლელში მდებარეობს, იგი რბილდება შავი ზღვიდან მდინარე ჭანისწყლის ხეობით აქეთ შემომავალი რბილი ჰაერის მასების გავლენით. ჭანისყალი – არც ისე დიდი, მაგრამ მომხიბვლელი მდინარეა, სოფელს შუაში რომ ჩაუდის და იკრებს უთვალავ ღელესა და მცირე მდინარეს. ისინი მთებიდან თუ გორაკებიდან მორბიან და ავსებენ იქაურობას გაუნელებელი ლურლურით.

მე მშობლიური სოფლისგან ბევრი რამითა ვარ დავალებული, და რაც მეტხანს ვცოცხლობ, მეტი ვიმსჭვალები მისადმი. მის წიაღ ვიგრძენი პირველად სიცოცხლის სიხარული და ადამიანთა ხიბლი, რომლებიც ხელისგულზე მატარებდნენ და ალერსსა და სიყვარულს მიძღვნიდნენ. აქ ჩავფიქრდი პირველად გაუგებარ, ჩემი გონებისთვის ჯერაც ჩაუწვდომელ მოვლენებზე და მიპყრობდნენ ოცნებები, არსებული სინამდვილიდან შორს რომ გავუტაცნივართ. თუმცა ობუჯში ცხოვრების ბედნიერ დღეებს მალე დაუდგა აღსასრული. ჩემმა მშობლებმა მალე მიატოვეს საყვარელი სოფელი და სამაზრო ქალაქ ზუგდიდში გადასახლდნენ, რომელიც ოდესღაც არსებული სამეგრელოს სამთავროს ადმინისტრაციულ და კულტურულ ცენტრად იყო მიჩნეული. აქ მეტი შესაძლებლობა არსებობდა მამის ცოდნის გამოსაყენებლად და ოჯახის მატერიალური კეთილდღეობის შესაქმნელად. მე შვიდი წლისა ვიყავი, როცა ახალ გარემოებაში აღმოვჩნდი. ვერ მოვასწარი მასთან შეგუება, რომ მამამ, ახალ ადგილას გადასვლიდან ერთ წელში წამიყვანა ქალაქ ქუთაისში და მთელს გუბერნიაში ერთადერთ გიმნაზიას მიმაბარა.

ჩემი მშობლები წვრილი აზნაურები იყვნენ. მამა მიხეილ ზურაბის ძე, სიყმაწვილეში ქუთაისის გუბერნიის გიმნაზიაში სწავლობდა. იგი გიმნაზიაში ხაზინის სახსრებით მიიღეს ბაბუას, თავისი დროის გავლენიანი კაცის დამსახურებების გამო. გინაზიაში მოწყობა და ისიც ხაზინის ხარჯით, არ იყო ადვილი საქმე. გუბერნიის ყოველი მაზრიდან არჩევდნენ სამ-ხუთ ბავშვს მემამულეთა ოჯახებიდან და აგზავნიდნენ გიმნაზიის პანსიონში. ზუგდიდის მაზრაში ხუთიდან ერთ-ერთი მამაჩემი აღმოჩნდა. მაგრამ სწავლების სრული კურსის გასრულება მან ვერ შეძლო ბაბუას გარდაცვალების გამო. როგორც უფროსი ვაჟი, იგი გამოიწვიეს ქუთაისიდან ობუჯში, ოჯახში, მეთაურის გარეშე რომ იყო დარჩენილი. მამა გიმნაზიის ექვსი კლასის დასრულების შემდეგ დაბრუნდა შინ. იმ დროისთვის ეს საკმარისი იყო, რომ ინტელიგენტად შერაცხულიყო არა მარტო წალენჯიხის რაიონში, არამედ მთელ ზუგდიდის მაზრაში.

დედა, მართა კელუცას ასული (ქალიშვილობის გვარი ხვიტია), სკოლაში არ განსწავლულა, მაგრამ წერა-კითხვის მცოდნე გახლდათ. მან შემასწავლა კითხვა და წერა ტრადიციული მეთოდით, რომელიც იყო ფეხმოკიდებული მაშინდელი ქართველი თავადაზნაურების ოჯახებში.

ქუთაისის გიმნაზიაში, სადაც მამამ მიმაბარა, დაიწყო ჩემი ცხოვრების ახალი ეტაპი, სრულიად განსხვავებული ობუჯურისგან. მან დამაკავშირა ქართველი ინტელიგენციის მოწინავე მოაზროვნეთა მოძრაობასთან. ახალი იდეებით შეპყრობილმა თანატოლებმა არ დავაყოვნეთ წრის ჩამოყალიბება და და მიზნად დავისახეთ მშობლიური ქართული ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლა, რომლებიც არ ისწავლებოდა იმჟამინდელ გიმნაზიებში. წრეს გააჩნდა ხელნაწერი ჟურნალი „მომავალი“, სადაც ავტორები, წრის წევრები, ვაქვეყნებდით საკუთარ, მოწაფეთა განწყობილების ამსახველ თხზულებებს – ლექსებს, სტატიებს, მინიატურულ მოთხრობებს. წრე ამ ჟურნალს ათი ეგზემპლარის ოდენობით უშვებდა. მახსოვს ჩემი კალმის პირველი მცდელობა. მას „ზმანება“ ერქვა. მოთხრობაში აღწერილი იყო თვითმპყრობელობის ჩამოგდება და მუშებისა და გლეხების ზეიმი სიზმრისეული უცნაური, ალეგორიული სახეებით. რევოლუციური განწყობა სულ უფრო და უფრო ედებოდა წრეს. ამას ხელს უწყობდა იმ დროს ბათუმში როტშილდის ქარხნის მუშათა გაფიცვები და პოლიტიკური დემონსტრაციები, რომელთაც სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ედგა სათავეში.

სოციალ-დემოკრატიული იდეური გავლენა დღითიდღე იზრდებოდა, სულ უფრო მეტ და მეტ ფენებს ედებოდა მუშათა, გლეხთა და ინტელიგენტთა შორის. ეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობა, შეუძლებელი გახლდათ, ჩვენი მოწაფეთა წრის მიღმა დარჩენილიყო.

ჩვენ „ჩავუსხედით“ მარქსიზმს. გამოგვიჩნდა მარქსიზმის გაკვეთილების ახალი ხელმძღვანელი, იატაკქვეშა სამყაროში კარგად ცნობილი იმერეთ-სამეგრელოს ბოლშევიკური კომიტეტის მუშაკი ალიოშა (პროკოფი) ჯაფარიძე, მომავალი ერთ-ერთი ოცდაექვსი ბაქოელი კომისართაგანი, დახვრეტილი ინგლისის დაზვერვის მიერ იმიერკასპიაში. წრე ლიტერატურული თემებიდან დარვინიზმის, პოლიტიკური ეკონომიის, დიალექტიკური მატერიალიზმისა და მარქსისტული ლიტერატურის შესწავლაზე გადავიდა. ამხანაგ ჯაფარიძის წყალობით წრის წევრები ჩაებნენ არალეგალურ მუშაობაში ახლომდებარე სოფლების გლეხობასა და ქალაქის მუშათა შორის. მახსოვს, ქუთაისის ნოქრების წარმომადგენელთა პირველი საორგანიზაციო კრება ჯაფარიძის ხელმძღვანელობით გაიმართა ჩემს ოთახში, ქალაქის გარეუბანში.

მოწაფეთა წრეები ქუთაისის როგორც ვაჟთა, ასევე ქალთა ყველა სასწავლებელში იყო. ამ წრეების ცვლილებებისა და სასწავლო პროგრამების გაფართოების შემდეგ შეიქმნა მათი გამაერთიანებელი ცენტრი.

1903 წლის ბოლოს მოწაფეთა ცენტრმა გადაწყვიტა ქალაქში გაფიცვისა და მასობრივი ქუჩის დემონსტრაციის მოწყობა ლოზუნგით „ძირს თვითმპყრობელობა“, „გაუმარჯოს თავისუფალ სკოლას“. და აი, 1904 წლის დასაწყისში მოქალაქეთა წინაშე გაიშალა აქამდე ქუთაისისათვის გაუგონარი სანახაობა. დათქმულ დღეს დილიდანვე ქუთაისელმა მოწაფეებმა შეწყვიტეს მეცადინეობა და ქუჩებს მოედვნენ, რევოლუციური ლოზუნგების ძახილით. თუმცა დემონსტრაცია მალევე დაშალა შეიარაღებულმა პოლიციამ და მეხანძრეთა რაზმმა.

1904 წლისთვის დავამთავრე ქუთაისის გიმნაზია და იმავე წელს შევედი ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. მამა უკვე აღარ იყო ცოცხალი, და დედის კმაყოფაზე მყოფს ჩემთვის მიუწვდომლად მეჩვენებოდა ისეთი დიდი ქალაქები, როგორებიც პეტერბურგი და მოსკოვი იყო, თუმცა კი ვცდილობდი, რომელიმეში მოვხვედრილიყავი. 1905 წელს სტუდენტურმა რევოლუციურმა მოძრაობამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. ეს იყო სვიატოპოლკ-მირსკის ლიბერალური მინისტრობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების პეტიციების პერიოდი, რომლებითაც მთავრობა აავსეს ქალაქებმა და სოფლებმა, ითხოვდნენ რა ყველაზე ფართო დემოკრატიულ უფლებებს.

ქუთაისის არალეგალური მუშაობის სკოლის გავლის შემდეგ თავი გამოცდილ რევოლუციონერად მიმაჩნდა და არ ვტოვებდი არცერთ დემონსტრაციას, იმავდროულად ვეხმარებოდი სოციალ-დემოკრატთა ორგანიზაციას ქალაქში პროკლამაციების გავრცელებასა და ქარხნებსა და ფაბრიკებში არსებული მუშათა წრეების არალეგალური ლიტერატურით მომარაგებაში. 1905 წლის დასაწყისში უნივერსიტეტი დროებით დახურეს, რათა აღეკვეთათ მზარდი მღელვარება და დემონსტრაციები. რადგან მქონდა ინფორმაცია მასობრივი რევოლუციური მოძრაობის შესახებ საქართველოში, სამშობლოში დაბრუნება გადავწყვიტე, რომ უნივერსიტეტის დახურვის შემდეგ ხარკოვში უსაქმოდ არ დავრჩენილიყავი.

სამშობლოში სრულად გაჩაღებულ რევოლუციურ მოძრაობას მოვუსწარი. ზუგდიდის მაზრაში ხშირად ხდებოდა შეიარაღებული გლეხობის შეტაკება პოლიციასთან. სტიქიური მღელვარება ფართო გაქანებას პოულობდა. მე უყოყმანოდ ჩავდექი მოძრაობის მონაწილეთა რიგებში. სტუდენტის წოდებამ და სოციალ-დემოკრატთა რიგებში ყოფნამ აამაღლა ჩემი ავტორიტეტი მაზრის გლეხობასა და ინტელიგენტთა შორის. მალე განიარაღებული შეიქნა მაზრის მთელი სათემო დაცვა, გაიღო ციხეები და ძველი ადმინისტრაცია სრულიად ჩამოშორდა მართვას. ძალაუფლება აჯანყებული ხალხის ხელში გადავიდა, რომელსაც სოციალ-დემოკრატიული პარტია ედგა სათავეში.

თუმცა მოსკოვში დეკემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ ყველგან რეაქცია დარჩა გამარჯვებული. სადამსჯელო ექსპედიციები ცეცხლითა და მახვილით შეესივნენ ქალაქებსა და სოფლებს. მეფის არმიის გაძლიერებული რაზმები, გენერალ ალიხანოვის სარდლობით საქართველოში გლეხთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ სურამის უღელტეხილით დასავლეთ საქართველოში გადავიდა და ყველგან სიკვდილი და პარტახი მიიტანა. რევოლუციურმა ორგანიზაციებმა გადაწყვიტეს იარაღით ხელში დახვედროდნენ მეფის ჯარებს და ამ მიზნით ბრძოლა ზედ უღელტეხილთან გაემართათ. მარტო ერთმა ზუგდიდის მაზრამ გამოიყვანა ექვსასამდე კარგად შეიარაღებული ნითელი რაზმელი შავი რეაქციისთვის გზის გადასაღობად. თუმცა ძალები არათანაბარი აღმოჩნდა. რეაქციამ გაიმარჯვა.

1906 წლის დასაწყისისთვის მე დამაპატიმრეს და მომათავსეს ქუთაისის საგუბერნიო ციხეში, რომელსაც ოფიციალურად ერქვა „ქუთაისის ციხე-კოშკი სატუსაღო“. შეადგინეს საბრალდებო აქტი, რომელსაც არანაკლებ პრეტენზიული სახელი ჰქონდა – „ზუგდიდის რესპუბლიკის საქმე“. ამგვარი აქტი მრავლად იყო შედგენილი აჯანყებული მაზრებისა და ქალაქების რიცხვის მიხედვით. ასობით პოლიტიკური ტუსაღით გაიდაივსო ქუთაისის ციხე. ყველას მკაცრი სასჯელი მოელოდა.

1907 წლის ბოლოსთვის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ პოლიტიკური ტუსაღების გათავისუფლების მიზნით გაიყვანა გვირაბი ციხის ქვეშ. ოცდათექვსმეტ ამხანაგს შორის, ციხიდან რომ ამ გვირაბით გაქცევა მოახერხა, ვიყავი მეც. რა თქმა უნდა, ახალგაზრდა რომ არ ვყოფილიყავი, ვერ გავრისკავდი ბედი მიმენდო ამ ვიწრო და გრძელი მიწისქვეშა გასასვლელისთვის, მცირე შანსს რომ ტოვებდა ამ სახიფათო წამოწყების კეთილად დამთავრებისთვის. მაგრამ ახალგაზრდობას უყვარს ხიფათთან თამაში, თამამად, სიკვდილისთვის თვალებში ჩახედვით. გაქცევა გამოგვივიდა.

მე აღვწერე „ქუთაისის ციხე-კოშკი სატუსაღოდან“ (ახლა ეს რომანტიკული სახელწოდება შესაფერისად მეჩვენება ციხისათვის, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ისტორიის ერთი უმნიშვნელოვანეს აქტთაგანი) ეს თავზეხელაღებული გაქცევა აღწერილი მაქვს რომან „სისხლში“, რომლის რუსული თარგმანი საბლიტგამმა გამოსცა 1930 წელს.

ამ წარმატებული გაქცევის შემდეგ დავტოვე საქართველო, რადგანაც გაქცეულთა ძებნა დიდხანს არ შეწყვეტილა. ამხანაგებმა მიშოვეს საიმედო პასპორტი და მოსკოვს გავემგზავრე, სადაც ცხოვრობდნენ და განათლებას იღებდნენ ჩემი გიმნაზიელი და 1905 წლის რევოლუციური მუშაობისდროინდელი მეგობრები. დიდ ქალაქში, მეგობრების ყოლის შემთხვევაში, უკეთ შეეძლო დამალვა სტუდენტის სახელით სრულიად უცნობ რევოლუციონერს, ვიდრე სასიკეთო გარემოებები შემექმნებოდა საზღვარგარეთ გასამგზავრებლად.

მოსკოვში, სტუდენტურ ფორმაში გამოწყობილი, მეგობრებთან ერთად ვესწრებოდი სახელგანთქმული პროფესორების: კლიუჩევსკის, ჩელპანოვის, ვიპერის, კოგანისა და სხვ. ლექციებს. ხარკოვის უნივერსიტეტიდან დოკუმენტები გადავიტანე ნოვგოროდცევის, ოზეროვისა და სხვა მეცნიერთა მიერ ახალდაარსებულ კომერციულ ინსტიტუტში, რომელიც ზამოსკვორეჩიეში მდებარეობდა. მიმიღეს ეკონომიკურ განყოფილებაზე ხარკოვის უნივერსიტეტის ორი სემესტრის ჩათვლით.

ამხანაგებმა მომიძებნეს კარგად ანაზღაურებადი კერძო გაკვეთილები მოსკოვში მცხოვრებ ნაცნობ ქართველთა ოჯახებში. მეგობართა მცდელობის წყალობით – ზოგიერთი მათგანი სამხატვრო თეატრში სარეჟისორო კურსებზე მუშაობდა სტანისლავსკისთან – მქონდა თეატრებთან წვდომის საშუალება. გამუდმებით ვიღებდი კონტრამარკებს სამხატვრო თეატრის სახელგანთქმულ სპექტაკლებზე და არ ვაცდენდი არცერთ ლიტერატურულ საღამოს, რომლებიც ეწყობოდა პოლიტექნიკური მუზეუმის აუდიტორიებსა და ან ლიტერატურულ წრეებში. გავიცანი იმ დროის გამოჩენილი პოეტები და პროზაიკოსები, ვესწრებოდი მათ გამოსვლებსა და დისკუსიებს, რომლებიც ხშირად ეწყობოდა იმ დროის მოსკოვში. ბევრს ვკითხულობდი, ახალი ლიტერატურის კვალდაკვალ. მოსკოვში მუდმივად ვცხოვრობდი მე-4 ტვერსკოი-იამსკოეს ქუჩაზე. აქ გავიცანი ახალგაზრდა ვ. მაიაკოვსკი. ამ ქუჩაზე ქირაობდა ბინას მაიაკოვსკების ოჯახი საქართველოდან წამოსვლის შემდეგ.

ჩემი მეგობარი, რომელთანაც იმჟამად ვცხოვრობდი, ახლოს იცნობდა მაიაკოვსკის ოჯახის წევრებს. იმ დროს იგი მხატვრობით იყო გატაცებული. იღლიაში ამოჩრილი დიდი ალბომითურთ შემოდიოდა და კარგახნობით რჩებოდა ჩვენთან, იგონებდა მშობლიურ სოფელ ბაღდათსა და ქალაქ ქუთაისს, სადაც გიმნაზიაში სწავლობდა. ეს იყო პოეტის სახელგანთქმულ გამოსვლებამდე პოლიტექნიკური მუზეუმის დიდ დარბაზში.

ლიტერატურული და თეატრალური ატმოსფეროს წყალობით, მოსკოვში რომ მეხვია, თავადაც დავიწყე წერა. პირველ ხანებში მასალას ობუჯში გატარებული ბავშვობისდროინდელი მოგონებებიდან ვიღებდი. რეალისტურ მოთხრობებს ვწერდი ერთგვარი სატირული განხრით. ჩემი პირველი მოთხრობა „წარსული აწმყოში“ დაიბეჭდა 1909 წელს თბილისის სოციალ-დემოკრატიულ გაზეთში. მას სხვები მოჰყვა, რომელთაც მალე მიიპყრეს ქართული კრიტიკის ყურადღება. უნდა აღინიშნოს, რომ პირველ რეალისტურ ნაწერებს მოყოლილი მოთხრობები და ნოველები აშკარად დეკადენტური გავლენის კვალს ატ-

არებდნენ, რისი ქროლვაც აშკარად იგრძნობოდა იმ დროის მოსკოვის ლიტერატურულ წრეებში. თუმცა ეს გავლენა მოკლეხნიანი აღმოჩნდა. ძირითადად არ დამიტოვებია პირველადი რეალისტური ხაზი, ჩემს პირველ მოთხრობებს რომ დაედო საფუძვლად.

1910 წლისთვის დავწერე 4-აქტიანი დრამატული პოემა, რომლისთვისაც გამოვიყენე ჯერ კიდევ ბავშვობისას ობუჯში განაგონი შესანიშნავი ხალხური ზღაპარი-ლეგენდა სამი დედის ვაჟის შესახებ („სამი დედის ვაჟი“). პოემა დაიბეჭდა თბილისის პოპულარულ ფელეტონებიან გაზეთში 1911 წელს.

საერთოდ ყველა მოსკოვური თხზულება დაწერილი მაქვს ტვერსკოი-იამსკოეს ქუჩაზე, სადაც ვქირაობდი ციცქნა ოთახს ეზოსკენ გამავალი სარკმლით. იშვიათად მიწევდა მისი დატოვება. როგორღაც ღვიძლივით შევითვისე იგი და აქამდე არ მავიწყდება. ხანდისხან რომ ჩავდივარ მოსკოვში, ყოველ ჯერზე მოვინახულებ ხოლმე ოთახის ნაცნობ სარკმელს, რომლის წინაც დიდხანს, დიდხანს ვყოვნდები, აუღელვებლად როდი ვიხსენებ ჩემი შემოქმედებითი მცდელობების საწყის წლებს

თავისი სიხარულებითა და ნაღველით. სახლი ძველი იყო მაშინაც. უსაზღვროდ გახარებული დავრჩი, როცა ექვის-რვა წლის წინ, მოსკოვში უკანასკნელი ვიზიტისას აღმოვაჩინე, რომ ის ჯერაც მთელია. საკვირველია, როგორ გადაურჩა დიადი დედაქალაქის გიგანტურ მშენებლობას!

...თუმცა დადგა 1912 წლის დასაწყისი. მოსკოვი ემზადებოდა 1812 წლის სამამულო ომის მეასე წლისთავის აღსანიშნავად. საიმპერატორო ოჯახის მოსკოვში ჩასვლის მოლოდინში დაიწყეს არაკეთილსაიმედო ელემენტების „წმენდა“. პოლიციის რაზმები საბინაო წიგნებით ხელში დადიოდნენ სახლებში, ძირითადად გარეუბნებსა და პატარა ქუჩებზე რომ იყო განლაგებული, და უპირატესად ჩამოსულებს ამოწმებდნენ – მათ საქმიანობას, დოკუმენტებს და ა.შ. სახიფათო დრო დამიდგა. შემოწმებისას ადვილი გასარკვევი იქნებოდა საბინაო ნებართვისა (სხვისი პასპორტი) და სტუდენტური ბილეთის შეუსაბამობა ჩემს ნამდვილ სახელთან. გარდაუვალი გახდა მოსკოვის დაუყოვნებლივ დატოვება, რათა დატუსაღება ამერიდებინა თავიდან. ერთადერთი გამოსავალი ჩანდა საზღვარგარეთის პასპორტის შოვნა და ემიგრაციაში წასვლა. თუმცა პასპორტის შოვნა ადვილი არ გამოდგა. დრო იყო საჭირო. დიასახლისი კი ყოველი დაბრუნების ჟამს მეუბნებოდა, რომ მოსული იყვნენ პოლიციის აგენტები ჩემი დოკუმენტების შესამოწმებლად. მეგობართა რჩევით გადავწყვიტე, წავსულიყავი გენერალ-გუბერნატორის კანცელარიაში (ამჟამად მოსსოვეტის შენობა) და ჩამებარებინა განცხადება გამგზავრებაზე ნების დართვის შესახებ. წავედი ამ თამამ ნაბიჯზე. მომთხოვეს კეთილსაიმედოობის ცნობა საპოლიციო უბნიდან. უბანმა დაუყოვნებლივ მომცა ცნობა იმის შესახებ, რომ თითქმის სამი წელი ვცხოვრობდი ერთსა და იმავე ბინაში და რაიმე საეჭვო ქცევაში შემჩნეული არ ვყოფილვარ. ამის საფუძველზე მომცეს საზღვარგარეთის ექვსთვიანი პასპორტი. იმავე დღეს დავტოვე მოსკოვი და ბრესტის ვაგზლიდან ბერლინისკენ გავემგზავრე. ბერლინიდან ჟენევაში ჩავედი, რუსული ემიგრაციის ძველისძველ ცენტრში, სადაც ჩემი მეგობრები ცხოვრობდნენ, 1907 წელს ქუთაისის ციხიდან გაქცეულები და დროულად ემიგრაციაში წასულები. მქონდა მათი მისამართები და მიმოწერას ვაწარმოებდი მათთან. ჟენევაში მალევე მივუბრუნდი შეწყვეტილ ლიტერატურულ საქმიანობას. ჩემი ფინანსური მდგომარეობა სავალალო გახლდათ. მოსკოვში დედის გამოგზავნილი ფული გზაში თითქმის შემომელია. ჯერ კიდევ მოსკოვში ვიცოდი, რომ თბილისური საბავშვო ჟურნალები ავტორებს კარგად უხდიდნენ. გადავწყვიტე, ძალა საბავშვო მოთხრობების ჟანრში მომესინჯა. პირველი მოთხრობა გამომივიდა, და დაუყოვნებლივ გავგზავნე თბილისში. მას სხვები მოჰყვნენ, შემდგომში კრებულად გამოცემულები. იმავდროულად თბილისში გამომიჩნდნენ კეთილსმსურველები, რომელთაც გამიხერხეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სტიპენდია ოცდახუთი მანეთის ოდენობით. ამას ხელი შეუწყო გავლენიან ქართულ გაზეთში წლიური მიმოხილვის გამოჩენამ, რომელშიც შექებული იყო ჩემი შემოქმედება.

„ფინანსების“ ასე თუ ისე მოგვარების შემდეგ, მშვიდად დავიწყე მასალის მოძიება მომდევნო მოთხრობისთვის. ჩემი მზერა ამჯერად მშობლიურ ობუჯსა და ბავშვობის შთაბეჭდილებებს სწვდებოდა, როგორც ჩანდა, ჯერ კიდევ რომ არ ამოწურულიყვნენ. ობუჯში, მეზობლად ცხოვრობდა ერთი ყრუ-მუნჯი, ღარიბი გლეხის შვილი. ეს იყო სოფლის მწყემსი, ახალგაზრდა, ძლიერი ჭაბუკი, სანახევროდ შიშველი რომ დადიოდა. მას ერთი უცნაურობა სჭირდა – სულმუდამ საკუთარ თავს ელაპარაკებოდა. ჩვენ ჯგროდ დავდევდით უკან, ვაკვირდებოდით მის უცნაურ ქცევას. გვეშინოდა მის, მაგრამ იმავდროულად გვიყვარდა კიდეც. ვეძებდი მასალას მოთხრობისთვის და თვალწინ დამიდგა ამ ყრუ-მუნჯის ცოცხალი სახება, და გადავწყვიტე, გამეხადა იგი პატარა კოლორიტული მოთხრობის გმირი. მე მას „ბაჩუა“ – გმირის სახელი დავარქვი. თუმცა მოთხრობა არ გამომივიდა. წარუმატებლობის განსჯისას, მივედი დასკვნამდე, რომ ჩემს ყრუ-მუნჯს აკლდა, ახლანდელი გამოთქმით, იდეურ-მხატვრული დატვირთვა. როცა მოთხრობის გადამუშავება დავიწყე, გამკრა აზრმა, გმირი დამეკავშირებინა 1905 წლის გლეხთა მოძრაობასთან. ჩემ წინ წარმოჩნდნენ გლეხების – მოძრაობის მეთაურთა სახეები, რომელთაც ვიცნობდი ზუგდიდის მაზრაში რევოლუციური საქმიანობის დროიდან. ამ ყველაფერმა წინ წამოსწია ახალი ამოცანა – მხატვრულად ამესახა 1905 წელი საქართველოში.

ასე დაიბადა მოთხრობა „ტარიელ გოლუა“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ჩემს შემოქმედებით თავგადასავალში. მოთხრობა დავამთავრე თუ არა, წავიკითხე ემიგრანტთა, 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის მონაწილეთა წრეში. ამხანაგებმა მომიწონეს ნაწარმოები. გადავწყვიტე, თბილისში გამეგზავნა იგი, დასაბეჭდად.

საფოსტო კავშირი რუსეთთან გართულებული იყო გაჩაღებული ომის გამო. ფოსტა შვეიცარიიდან მიდიოდა გრძელი, შემოვლითი გზით, საფრანგეთის, ინგლისის, ნორვეგიის და სხვ. გავლით. დიდად არ მჯეროდა, რომ ჩემი ხელნაწერი მიაღწევდა დანიშნულების ადგილამდე. ამ დაეჭვების გამო მოუსვენრობამ შემიპყრო.

ამ დროს მოხდა ჩემი შეხვედრა ძველ ქართველ მწერალთან და საზოგადო მოღვაწესთან თედო სახოკიასთან. ისიც ემიგრანტი გახლდათ, მაგრამ პარიზში ცხოვრობდა. მან მაცნობა, რომ რუსეთის მთავრობისგან მიიღო შინ დაბრუნების ნებართვა, და შემომთავაზა, მასთან ერთად წამოვსულიყავი, თან მიმტკიცებდა, რომ საქართველოში ხანდაზმულობის გამო, აღარავის ეხსომება შენი რევოლუციური საქმიანობა და დევნილობაო.

ამ წინადადებამ გავლენა იქონია ჩემზე. მიუხედავად იმისა, რომ ჟენევამ ცოდნითა და ახალი შთაბეჭდილებებით გამამდიდრა, – მეტად კმაყოფილი ვიყავი უნივერსიტეტში, სადაც ჩავირიცხე, მეცადინეობით, გაუცდენლად ვესწრებოდი ლიტერატურისა და ფილოსოფიის ლექცია-სემინარებს, – გული გამუდმებით მიხმობდა შორეული სამშობლოსკენ დასაბრუნებლად. ეს განწყობა იზრდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მორალურად, როგორც რევოლუციონერი, კმაყოფილი უნდა ვყოფილიყავი, რომ ვცხოვრობ რევოლუციონერთა შორის, გავეცანი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერებს. პირადად ვიცნობდი ვ. ი. ლენინს, რომელიც ხშირად სტუმრობდა ჟენევას. ასევე შევხვედრივარ პლეხანოვს, მარტოვს, დანს, ლუნაჩარსკისა და მრავალ სხვას. და მაინც სამშობლოსკენ მეწეოდა გული, მშობელი ხალხისა და ბუნებისკენ, ჩემი შთაგონების პირველსაწყისი სათავისკენ. და აი ამხანაგ სახოკიას წინადადებაზე გახშირებით დავიწყე ფიქრი. მით უფრო, რომ ემიგრანტის ერთფეროვანი ცხოვრება პარტიული და ფრაქციული კამათის ატმოსფეროში, რასაც არაფერთან მივყავდით, აძლიერებდა ჩემს ოცნებას დაბრუნების შესახებ თუნდაც არალეგალური გზით. და ერთ მშვენიერ დღესაც ავიღე ვიზა რუსი კონსულისგან რუსეთში დასაბრუნებლად, ხოლო ფრანგისგან – საფრანგეთში შესვლაზე ნების დასართავად და გავემართე პარიზისკენ სახოკიასთან შესახვედრად.

პარიზში მთელი ორი კვირა დაკავებული ვყავდით კეთილსაიმედოობის გასარკვევად, რამდენადაც ნეიტრალური შვეიცარიიდან მოვდიოდი, რომელსაც თავისუფალი ურთიერთობა ჰქონდა ერთმანეთის წინააღმდეგ მეომარ სახელმწიფოებთანაც. ეს დრო გამოვიყენე პარიზის ღირსშესანიშნაობათა ზერელედ დათვალიერებისთვის. ჩემდა საბედნიეროდ, მუზეუმებიდან ლუვრის ნაწილი (ქვედა სართული) ღია აღმოჩნდა დამთვალიერებლებისთვის. ღია აღმოჩნდა ასევე ლუქსემბურგის მუზეუმი და ინვალიდების სახლი, რომელთა დათვალიერებაც მოვასწარი იმ დღეებში. ლონდონში დოკუმენტების შემოწმების პროცედურა გაგრძელდა. აქ ათი დღით შევყოვნდით. ბრიტანული მუზეუმი დაკეტილი აღმოჩნდა. ალბერტის მუზეუმისკენ გავეშურეთ, სადაც ვატარებდით მთელ თავისუფალ დროს, ვეცნობოდით მის მდიდარ ექსპოზიციას.

ბოლოს, როგორც იქნა, გაგვიშვეს. ნიუკასლში მოვახერხეთ პატარა ნორვეგიულ სავაჭრო გემზე მოწყობა, და გავუდექით შორეულ გზას ჩრდილოეთის ზღვის გავლით, არ შევუშინდით გერმანულ წყალქვეშა ნავებს, რომლებითაც სავსე იყო მაშინ ეს ზღვა. ნორვეგიამდე მშვიდობიანად ჩასულები, თუმცა გზად განცდილი შიში არ დაგვკლებია, ბერგენში გავჩერდით. დავისვენეთ. ჩემი თანამგზავრი სახოკია უმალ გაეშურა ვიზიტით ინგლისის გენერალურ კონსულ უორდროპთან, ძმასთან ქალბატონი უორდროპისა, რომელსაც ეკუთვნის ქართული ეროვნული ლიტერატურის სიამაყის, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული ინგლისური თარგმანი.

სახოკია მალე დაბრუნდა უორდროპისგან ქართული გაზეთების შეკვრითურთ. აღმოჩნდა, რომ უორდროპს, მისი დის ხსოვნისადმი პატივისცემის ნიშნად, ქართული რედაქციები რეგულარულად უგზავნიდნენ გაზეთებს თბილისიდან. მან ისინი სტუმარს გადასცა, რომელსაც თვეზე მეტი იყო, თვალით არ ენახა ქართული გაზეთები. მაგრამ ამაში გასაოცარი არაფერი ყოფილა. გასაოცარი ის იყო, რომ პირველივე გაზეთში, მე რომ გავშალე, თვალში მომხვდა მსხვილი შრიფტით აწყობილი ფელეტონის სათაური „ტარიელ გოლუა“. მოულოდნელმა სიხარულმა ძალა გამომაცალა. ფელეტონს რედაქციის მოკლე წინასიტყვაობა უძღოდა, რომელიც აუწყებდა მკითხველებს ახალი მნიშვნელოვანი ნაწარმოების გამოჩენას და საქებარ სიტყვებს არ იშურებდა მის მიმართ.

თბილისში უკვე ცნობილ ქართველ მწერლად ჩამოვედი. „ტარიელ გოლუამ“ უმოკლეს დროში მოახერხა საყოველთაო ყურადღების მიპყრობა.

საქართველოში დიდხანს არ მომიწია არალეგალურ მდგომარეობაში ცხოვრება. რამდენიმე თვეში 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ ლეგალიზაცია მომანიჭა.

1917 წელს თბილისში დაფუძნდა საქართველოს მწერალთა კავშირი. მე გამგეობაში, მოგვიანებით კი პრეზიდიუმში ამირჩიეს, რომლის წევრადაც ვრჩები აქამდე.

ერთიანად ჩავერთე საზოგადოებრივ-ლიტერატურულ საქმიანობაში. ბევრ დროსა და შრომას ვახარჯავდი კავშირის ორგანოების პირველი ბეჭდური გამოცემების რედაქტირებას, ლიტერატურულ მოხსენებებსა და სხვ.

1923-1924 წლებში, მთელი რიგი მოთხრობებისა და ნოველების გამოქვეყნების შემდეგ, ჩავიფიქრე ახალი რომანის შექმნა. ის წარმომიდგებოდა „ტარიელ გოლუას“ გაგრძელებად და უნდა აესახა ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება რეაქციის ეპოქაში და ხალხის ბრძოლა თვითმპყრობელობისა და მებატონეთა ხელისუფლების წინააღმდეგ იმ პერიოდში. რომანმა მიიღო სახელწოდება „სისხლი“. ის ცალკე წიგნად დაბეჭდა საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ 1928 წელს. თარგმნილი და გამოცემულია რუსულ ენაზე მოსკოვში გოსტლიტიზდატის მიერ რამდენადმე შემოკლებული სახით.

1932-1933 წლებში სოფლად გაჩაღებული საკოლმეურნეო მოძრაობის ჟამს, მომეცა წინადადება, ცნობილ კინორეჟისორთან ნ. შენგელაიასთან ერთად დამეწერა სცენარი. შემოვიარეთ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონი, თავი მოვუყარეთ უმდიდრეს მასალას. დაიბადა ფილმი „ნარინჯის ველი“, რომელმაც წარმატებულად მოიარა კავშირის ეკრანები. თუმცა ფილმში სრულად არ იქნა გამოყენებული მდიდარი მასალა, რომელიც რეჟისორისა და სცენარისტის ხელთ აღმოჩნდა. მე არ შემეძლო ჩემი დაკვირვებები ახალ ცხოვრებასა და საკოლმეურნეო მშენებლობაზე ფილმში მხატვრულად ამოწურულად მიმეჩნია და შევუდექი რომანის წერას, შეგროვილი მასალისა და საქართველოში რევოლუციამდელი გლეხობის ცხოვრების ცოდნის საფუძველზე.

რომანი „გვადი ბიგვა“ კარგად მიიღეს როგორც საქართველოში, ისე რუსეთშიც. ის ცალკე წიგნად გამოიცა 1938 წელს, 1939 წელს ითარგმნა რუსულად და დაიბეჭდა პირველად ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვში“. მომდევნო წელს დაბეჭდეს „რომან-გაზეტაში“. 1941 წელს რომანს მიენიჭა მეორე ხარისხის სტალინური პრემია. იგი ბევრჯერ დაიბეჭდა მოსკოვში, ასევე მოკავშირე რესპუბლიკებში და ყველგან სავსებით კეთილგანწყობილი გამოხმაურება მოჰყვა პრესაში. 1942 წელს ის ინგლისურად გამოსცეს ლონდონში. ლონდონის კვალდაკვალ დაიბეჭდა ესპანურად (ბუენოს აირესში), გერმანულად (ბერლინში), ჩეხურად და სლოვაკურად (პრაღაში), უნგრულად (ბუდაპეშტში), ბულგარულად (სოფიაში), რუმინულად (ბუქარესტში), პოლონურად (ვარშავაში), ჰინდიზე (დელიში), ჩინურად (პეკინში).

1945 წლის ბოლოს გამოსაცემად ჩავუშვი ახალი რომანი „მთის კაცი“, რომელიც დიდი სამამულო ომის მასალაზე დაიწერა. მასში აისახა ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა ფაშისტების წინააღმდეგ, რომლებმაც დასავლეთ კავკასიონის გავლით საქართველოს ფარგლებში შემოაღწიეს. „მთის კაცსაც“ ხვდა წარმატება, თუმცა, მართალია, ის „გვადი ბიგვას“ აშკარად ჩამორჩა, მაგრამ არაერთხელ დაიბეჭდა რუსულად, ასევე საზღვარგარეთ, დემოკრატიული რესპუბლიკების ენებზე.

1939 წელს ლიტერატურული მოღვაწეობისათვის ხელისუფლებამ დამაჯილდოვა შრომის წითელი დროშის ორდენით. 1946 წელს მეორედ მომენიჭა იგივე ორდენი და მედლები „შრომისათვის“ და „კავკასიის დაცვისათვის“.

1954 წელს დაბადებიდან 70 და ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლის აღსანიშნავად მომენიჭა ლენინის ორდენი.

სსრ კავშირის მწერალთა მეორე ყრილობაზე ამირჩიეს სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად, იმავდროულად ვრჩები საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრად.

ამჟამად ვმუშაობ მოგონებების პირველ წიგნზე.

კრებული „საბჭოთა მწერლები“, ავტობიოგრაფიები 2 ტომად. მხატვრ. ლიტერატურის სახ. გამომცემლობა, მოსკოვი, 1959 წ.

რუსულიდან თარგმნა
სერგო წურწუმიამ

1918 წელს ზუგდიდის მაზრაში ანტისახელმწიფოებრივი ბოლშევიკური გამოსვლები მიმდინარეობდა, რომელმაც მთელი მაზრა ანარქიის ქარცეცხლში გაახვია. ეს გახდა მიზეზი მაზრაში საერობო არჩევნებისათვის მზადების შეფერხებისა. 1918 წლის ნოემბერში ზუგდიდის მაზრაში მდგომარეობა შედარებით სტაბილური გახდა, რამაც შესაძლებელი გახადა წინასაარჩევნო სამუშაოების ჩატარება **(ერობა, 1918:** 2).

1918 წლის 1 დეკემბერს ზუგდიდის მაზრაში საერობო არჩევნები ჩატარდა (სეა სცა, ფ. 1863, ან. 1, ს. 908: 4; ტუღუში, 2012: 131). ამ არჩევნებში სამმა პოლიტიკურმა სუბიექტმა მიიღო მონაწილეობა:

1 – სოციალისტური ბლოკი: (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია);

2 – საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია;

3 – საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია.

სოციალისტური ბლოკოს შექმნას გაზეთი „საქართველო“ შემდეგი სტატიით გამოეხმაურა: *„დასავლეთ საქართველოში საერობო არჩევნებში სოციალისტური პარტიები თითქმის ყველგან ბლოკს ქმნიან ეროვნულ-დემოკრატების წინააღმდეგ და ერთი საარჩევნო სიით გამოდიან“* **(ქრონიკა. საერობო,** 1918: 2).

ზუგდიდის მაზრის საარჩევნო სიაში რეგისტრირებული იყო 65 724 ამომრჩეველი, არჩევნებში მონაწილეობა 21 996 (33,827%) ამომრჩეველმა მიიღო.

ზუგდიდის მაზრაში პოლიტიკურ პარტიათა შორის ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 11 641 (52,923%) ხმა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 1 754 (7,974%) ხმა.

საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 8 601 (39,102 %) ხმა.

ზუგდიდის სამაზრო ერობაში 30 ხმოსანი აირჩიეს. საარჩევნო უბნების მიხედვით ხმოსნების რაოდენობა პოლიტიკური პარტიებს შორის შემდეგნაირად გადანაწილდა:

სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 17 ხმოსანი[1]იკჯმ, ;

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 1;

საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 12 ხმოსანი **(სეა სცა, ფ. 1863, ან. 1, ს. 907: 9; სეა სცა, ფ. 1863, ან. 1, ს. 908: 5; მანი, 1918: 4; ხვადაგიანი, 2018: 168-169; ირემაძე, 2019: 128).**

ამდენად, ზუგდიდის მაზრაში ჩატარებულ არჩევნებში საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ გაიმარჯვა.

1919 წლის 4 იანვრის, 10 საათზე ზუგდიდის გამგეობა შემდეგი შემადგენლობით დაკომპლექტდა: გამგეობის თავმჯდომარე – *ლეო შენგელაია* (ლეო ქიაჩელი) (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია), წევრები – *ვასო ქავთარაძე* (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია), *შოთა დადიანი* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია), *ნიკო ბერიძე* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) და *ლავრენტი კოდუა* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია).

ყრილობის თავმჯდომარედ *კალისტრატე კობახიძე* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია) აირჩიეს, მის თანაშემწეებად – *მაქსიმე ვეკუა* (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია) და *დიმიტრი ალექსანდრეს ძე ჩხოლარია* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) მდივანი – *ბაგრატ კონსტანტინეს ძე უგულავა* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია) **(მანი. ზუგდიდის სამაზრო ერობა, 1919:** 3).

1919 წლის 2 იანვარს ზუგდიდის სამაზრო ერობის პირველივე ყრილობაზე თავი იჩინა პოლიტიკურ პარტიებს შორის დაპირისპირებამ. აღნიშნულ ყრილობაზე ნათლად გამოჩნდა, თუ რაოდენ მოუმზადებელი იყო „სოციალისტურ ბლოკში“ შემავალი პოლიტიკური პარტიები. მათ ცალსახად გათვითცნობიერებული არ ჰქონდათ პოლიტიკური ბლოკის არსი.

ყრილობაზე განიხილეს საკითხი, თუ რამდენი პირისაგან უნდა შემდგარიყო გამგეობა. სწორედ ამ საკითხის გარშემო მოხდა პირველი უთანხმოება პოლიტიკურ პარტიებს შორის. აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით პარტიებს შორის ორმა მიმდინარეობამ იჩინა თავი: „პირველი მიმდინარეობა, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წარმომადგენლები მომხრეები იყვნენ გამგეობა ექვსი (6) პირისაგან შემდგარიყო, ხოლო მეორე მიმდინარეობის წარმომადგენლები, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია (ესერები) და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – ხუთის (5)“. პირველნი თავიანთ აღნიშნულ გადაწყვეტილებას ასაბუთებდნენ იმით, რომ „6 კაცისაგან შემდგარი გამგეობა შეძლებდა საკითხების მოწესრიგებას უკეთ“.

ლეო შენგელაია, ზუგდიდის სამაზრო ერობის თავმჯდომარე

გამგეობაში ადგილების განაწილებისას საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიამ და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიამ მოითხოვეს, რომ გამგეობის თავმჯდომარე და ერთი წევრი ყოფილიყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან და ერთი წევრიც საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მხრიდან.

საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ მოითხოვა გამგეობის თავმჯდომარისა და ერთი წევრის ადგილი. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გამგეობაში ყველა პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენელი შესულიყო, რომელთაც ექნებოდათ ცოდნა ამა თუ იმ სპეციალური დარგისა. ყოველივე ზემოხსენებული მიუღებელი აღმოჩნდა საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიისათვის. მათ „პროტესტი“ გამოაცხადეს და უარი თქვეს ერობის ფუნქციონირებაში მონაწილეობის მიღებაზე, რის შემდეგადაც დარბაზი დატოვეს. საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წარმომადგენლები თავიანთ გადაწყვეტილებას ასაბუთებდნენ იმით, რომ „მათ 12 ხმოსანი ყავდათ გაყვანილი და ადეკვატურ ანგარიშს არ უწევდნენ“.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო ფრაქციის ხმოსანმა მიხეილ კაკულიამ გააცნო ყრილობას საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის გასვლის მიზეზი. მან განაცხადა, რომ „როგორც გამოირკვა, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია გამგეობაში ორი წევრით კმაყოფილნი იყვნენ. მხოლოდ მათ სურვილს წარმოადგენდა ყრილობას შეეცვალა დებულების 159 მუხლი, რომლითაც გამგეობის თავმჯდომარეს ენიჭებოდა უფლება კანცელარიის მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნისა“.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით გაიმართა კამათი. საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ფრაქციას განუცხადებია, რომ სამაზრო ერობის ყრილობას არ ჰქონდა დებულების შეცვლის უფლება. ეს კანონმდებლობითი ორგანოს საქმე იყო. ხმოსან ალექსანდრე ჩიქავას (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია) პრინციპულად დაუშვებლად მიაჩნდა ყრილობის მიერ ამ მუხლის იმ დღეს შეცვლა.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის წარმომადგენლებმა შემოიტანეს რეზოლუცია, რომ ყრილობა ცვლიდა გამგეობის სახელმძღვანელოდ ამ მუხლს. საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ მხარი დაუჭირა აღნიშნულ რეზოლუციას და სხდომაზე დაბრუნდნენ.

ყრილობა ამის შემდგომ შესდგომია ადგილების გადანაწილებას. გამგეობის თავმჯდომარის და ერთი წევრის ადგილი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიას, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას გამგეობაში ორი ადგილი და ერთი ადგილი საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიას ერგო. ყრილობის თავმჯდომარე საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის წევრი (კალისტრატე კობახიძე) იყო.

საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ თავმჯდომარის მოადგილის ადგილი მოითხოვა. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიამ მათ მხარი დაუჭირა. წინადადება გავიდა. გამოირკვა აშკარად, რომ „სოციალისტური ბლოკი“ მჭიდრო არ იყო. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიამ ბლოკის აზრი დაარღვია. ეს გამოჩნდა მაშინაც, როდესაც განიხილებოდა ჯამაგირის (ხელფასის) საკითხი. ყრილობის საწყის ეტაპზე საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია უჯამაგირო თავმჯდომარის მომხრეები იყვნენ მაგრამ, როდესაც გაირკვა, რომ ეს ადგილი საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიას ენიჭებოდა, თავმჯდომარეობისათვის 9 000 მანეთის დანიშვნას მოითხოვეს.

1919 წლის შემოდგომაზე ზუგდიდის მაზრის საერობო კრებაში პოლიტიკურმა კრიზისმა კიდევ უფრო იმძლავრა. მიზეზი კი მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით „სოციალისტურ ბლოკში“ შემავალ პოლიტიკურ სუბიექტებს შორის აზრთა სხვადასხვაობა გახდა. არსებული მდგომარეობა იმდენად გამწვავდა, რომ კოალიციამ თანამშრომლობის რესურსი სრულიად ამოწურა. ამიტომ იძულებული იყვნენ სოციალისტური ბლოკი დაეშალათ.

1919 წლის 4 ოქტომბერს ზუგდიდის ერობის მეოთხე ყრილობაზე გამგეობის თავმჯდომარემ – ლეო შენგელაიამ (ლეო ქიაჩელი) უარი განაცხადა არა მარტო, ერობის თავმჯდომარეობაზე, არამედ მის წევრობაზეც კი. მის აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა დაუჭირეს. მიუხედავად ამისა, ლეო შენგელაია მაინც დატოვეს ერობის თავმჯდომარედ. აღნიშნულ საკითხზე გამართულმა კამათმა (კამათში დიდად აქტიურობდნენ ესერი შალვა მოსიძე და სოციალ-ფედერალისტი მიხაკო კეკელია) ნათლად გამოაჩინა, რომ ყრილობის მონაწილე პოლიტიკურ ფრაქციებს შორის შეუძლებელი იყო გამგეობის შედგენის შესახებ რაიმე სახის შეთანხმება მომხდარიყო. სწორედ ამიტომ ყრილობამ ახალი არჩევნების ჩატარება საჭიროდ ჩათვალა **(ტუღუში, 2012: 131)**.

1919 წლის 16 ოქტომბერს ზუგდიდის სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობამ დაადგინა: „ვინაიდან ახლანდელი შემადგენლობით ყრილობას არ შეეძლო გამგეობის შედგენა, ეთხოვა მთავრობას მაზრაში ხმოსანთა ახალი არჩევნები დაენიშნა“.

ამავდროულად აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სამაზრო ერობის ხმოსნების რწმუნების ვადა 1920 წლის 1 იანვარს იწურებოდა. კანონის შესაბამისად კი 100 დღის განმავლობაში ხელახალი არჩევნები უნდა ჩატარებულიყო **(სეა სცა, ფ. 1863, ან. 1, ს. 967: 19).**

შესაბამისად, 1920 წლის 25 იანვარს ზუგდიდის მაზრაში რიგით მეორე საერობო არჩევნები დაინიშნა. მაზრის თავმჯდომარის – ლეო შენგელაიას მონაცემებით, ზუგდიდის მაზრა 6 საარჩევნო უბნად დაიყო: წალენჯიხის პირველი, წალენჯიხის მეორე, ზუგდიდის პირველი, ზუგდიდის მეორე, ხობისა და ქალაქ ზუგდიდისა **(ზუგდიდის საერობო არჩევნებისათვის, 1920:** 3).

1920 წლის 25 იანვარს ზუგდიდის მაზრაში დანიშნული სამაზრო, საერობო არჩევნებისათვის, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ შემდეგი კანდიდატების სია წარადგინა:

წალენჯიხის პირველი საარჩევნო უბანი:

ლეო მიხეილის ძე შენგელაია (ლეო ქიაჩელი), *იოსებ ანტონის ძე კვარაცხელია*[2], *სამსონ შონია, პეტრე კიკოს ძე ქვარცხავა, არისტრახ შამუგია, დიმიტრი ჯაბეს ძე სამუშია, ანტონ შონია* და *კუკუსანი ხასია.*

ზემოთ ხსენებულ არჩევნებში გამარჯვების მოპოვება საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ შეძლო, ხოლო ლეო შენგელაია წალენჯიხის პირველ საარჩევნო უბანში აღნიშნული პარტიიდან ზუგდიდის მაზრის ხმოსნად აირჩიეს.

მიუხედავად იმისა, რომ ლეო შენგელაიას მცირე დროით ეკავა ზუგდიდის მაზრის ერობის თავმჯდომარის თანამდებობა, ის აქტიურად იყო ჩართული მაზრის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი ქმედით მონაწილეობას იღებდა 1919 წლის 21—27 თებერვალს ჩატარებულ საქართველოს ერობათა წარმომადგენლების I ყრილობაში **(ერობათა წარმომადგენლების ყრილობა, 1919:** 3).

1919 წლის 11 სექტემბერს ქალაქ თბილისში გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის ერობათა წარმომადგენლების II ყრილობა. აღნიშნულ ყრილობაზე მოხსენება

ლეო შენგელაიას (ქიაჩელის) პოლიტიკური მოღვაწეობა

ბაკურ ლაშხია

გააკეთა ზუგდიდის ერობის წარმომადგენელმა ლეო შენგელაიამ. სადაც იგი აღნიშნავდა: „ადმინისტრაცია ზუგდიდის მაზრის ერობას გადმოსცემია თითქმის გაწყობილი. გამგეობას მხოლოდ ცოტაოდენი რამის შეტანა დასჭირვებია მასში ცვლილებების მოსახდენად. მთელს მაზრაში სულ 120 მილიციონერი ჰყოლით, რომელიც ძალიან ებრძოდა ყაჩაღობას. მაგრამ ეს რიცხვი საკმარისი არ იყო. მაზრის კომისარი შეუცვლიათ მაზრის მილიციის უფროსად.

საექიმო დარგში ზუგდიდის მაზრას ჰქონია ერთი ცენტრალური ქირურგიული საავადმყოფო 20 ადგილით. აშენებდნენ კიდევ ერთს ახალ საავადმყოფოს.

მასწავლებელთა რიცხვი, მაზრის სკოლების შეადგენდა 211 ადამიანს.

ზუგდიდის მაზრა ტყით მდიდარი იყო. ამიტომ მაზრის ერობის გამგეობას შეუძენია ტყე, მანქანები და ერთი სახერხი ქარხანა გაუწყვიათ, ხოლო მეორე იჯარით აუღიათ. გადასახადი კი ჯერ შეგროვებული არ ჰქონდათ.

ზუგდიდ-ანაკლიის გზა შეკეთებული იყო, ტელეფონის ქსელის გაყვანა დაუსრულებიათ და ამ ჟამად თავდებოდა მუშაობა მთიან სამეგრელოში.

აგრარული რეფორმის გატარების საქმეზე მუშაობდა შვიდი კომისია. ზოგ რაიონებში ჩამორთმევის პროცესი უკვე მოგვარებული ყოფილა და დაუწყიათ მიწების განაწილება“ **(სეა სცა, ფ. 1921, ან. 1, ს. 17: 66-67).**

1919 წლის 4 ოქტომბერს ზუგდიდის სამაზრო ერობის ყრილობა გაიმართა. აღნიშნულ ყრილობაზე, ერობის საერთო მოქმედებაზე და მის ფუნქციონირებაზე მოხსენება გამგეობის თავმჯდომარემ – ლეო შენგელაიამ გააკეთა. ის მიუთითებს, რომ ზუგდიდის მაზრა კულტურულის მხრით იყო ერთი ჩამორჩენილთაგანი მთელს რესპუბლიკაში. ჩამორჩენილი იყო სწავლა-განათლების, მეურნეობის, საექიმო-სასანიტარო საქმეში და სხვ. გამგეობა ცდილობდა მოეგვარებინა ყოველივე ეს, მაგრამ მიუხედავად არაერთი მცდელობისა, მან ეს ვერ შეძლო უსახსრობისა და კვალიფიციური კადრების ნაკლებობის გამო. თემის ერობანი უმეტეს საზოგადოებებში უკვე არჩეული იყო, დანარჩენმა საზოგადოებებმა კი არ მოისურვეს არჩევნებში მიეღოთ მონაწილეობა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ მაზრაში საზოგადოების შეგნებული ნაწილი არ აწარმოებდა სახელმწიფოებრივ პოლიტიკას. პარალელურად მაზრაში თავი იჩინა მასობრივმა დეზერტირობამ, რამაც გამოიწვია ჯარში მყოფ ჯარისკაცთა საჩივარი მთავრობასთან, რის შედეგადაც მეორე პოლკის უფროსს – პოლკოვნიკ თუხარელს მიეცა უფლება, გამოეგზავნა ზუგდიდის მაზრაში ეგზეკუცია მაზრიდან დეზერტირების გამოსაყვანად. ეგზეკუციის მიერ დაისაჯნენ არა მარტო დეზერტირები, არამედ მათი ოჯახის წევრებიც, რაც გამგეობამ აცნობა სათანადო მთავრობას. ზუგდიდის მაზრა ყოველთვის მიიჩნეოდა ყაჩაღთა ბუდედ, რევოლუციის შემდეგ ბოროტმოქმედებამ ერთიორად იმატა. ერობის გამგეობამ ამ მოვლენას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და შესაძლებლობის ფარგლებში ბევრი რამ გააკეთა. ყაჩაღობის სრულფასოვნად აღმოფხვრა კი არც ისე ადვილია იყო. ბოროტმოქმედებთან ბრძოლას ისიც უშლიდა ხელს, რომ მაზრაში მოიდგა ფეხი ერთგვარმა ტენდენციამ, როცა პირად სარგებლობას ხშირად აყენებდნენ საზოგადო ინტერესებზე მაღლა.

ამავე ყრილობაზე, ლეო შენგელაიამ გააკეთა მოხსენება მაზრის ადმინისტრაციასა და სასამართლოზე: „უბნის მოსამართლენი არჩეულ არიან და მოქმედებენ ყოველგან გარდა დარჩელის უბნისა. ახალ-ხიბულის უბნის მოსამართლის პუნქტის არჩევაში არ მოხდა შეთანხმება ერობის გამგეობასა და მომრიგებელ მოსამართლე ბერიძეს შორის. თანახმად ყრილობის დადგენილებისა გამგეობამ ასეთ პუნქტად აირჩია ახალ-ხიბულა, მაგრამ მომრიგებელ მოსამართლემ აირჩია თავის სადგომად ამავე საზოგადოების ს. ზუბი, რაზედაც მან გამოითხოვა თანხმობა ოლქის მოსამართლეთა ყრილობისაგან და იქ მოაწყო რეზიდენცია. გამგეობას კი არ შეეძლო დათანხმებულიყო ამ პუნქტს, ვინაიდან ყრილობაში იყო დავა ახალ-ხიბულასა და ნაფოსტს შორის, ზუბი კი ნახსენებიც არ იყო. უბნის მოსამართლენი ნივთიერად უზრუნველ ყოფილნი არ არიან და ერობის ყრილობის მიერ დანიშნული სუბსიდია ვერ აუმჯობესებს მათ მდგომარეობას. საჭიროა ყრილობამ აღძრას შუამდგომლობა, რომ მაზრაში დაარსდეს მეშვიდე უბნის სასამართლო ლია-ჯვარის რაიონში, რომ ამით სამართალი დაუახლოვდეს ხალხს. ამავე მიზნისათვის საჭიროა, რომ ყრილობამ აღძრას შუამდგომლობა, რომ ზუგდიდის მაზრა იქმნას გამოყოფილი ცალკე სამოსამართლო ოლქად. ადმინისტრაცია შეძლების და გვარად მუშაობს და მოაქვს საკმაოდ სასურველი შედეგები. ამ თავდადებული მუშაობის მსხვერპლი გახდა მაზრის კომისრის ამხანაგი ივ. კეშილავა. საჭირო სახსრის უქონლობის გამო ერობის გამგეობა ვერ შოულობდა შესაფერ მოსამსახურე პირებს და ესეც აბრკოლებდა საქმეს, ის მცირე თანხაც, რომელსაც მთავრობა იძლეოდა, მილიციონერების შესანახად ვერ მოდიოდა თავის დროზედ, მაზრის ხაზინის უქონლობის გამო. გამგეობის ცდა, რომ ზუგდიდში გაიხსნას ხაზინა, უკვე აღწევს მიზანს და საიმედოა მოკლე ხანში განხორციელდეს მაზრის მილიციის რეორგანიზაცია ამ ნაირად: რაიონის მილიცია მოისპოს და დარჩეს მხოლოდ მაზრის და თემის. მაზრა უნდა გაიყოს 7 უბნად, თითოეულ უბანში იქნება მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწე ათი მილიციონერით“ **(სეა სცა, ფ. 1921, ან. 1, ს. 345: 3-5).**

ზუგდიდის სამაზრო ერობის ყრილობის 1919 წლის 11 ოქტომბრის სხდომაზე სათემო ერობების შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის თავმჯდომარე ლეო შენგელაია: მაზრაში ჯერ-ჯერობით გამოჭრილა 42 თემი და შეიძლება კიდევ მიემატოს ერთი. 29 თემმა უკვე აირჩია ერობა დანარჩენებმა კი ჯერ-ჯერობით უარი განაცხადეს არჩევნებში მონაწილეობაზედ. მიზეზი ამისა მრავალგვარია და სხვათა შორის ისიც, რომ გლეხი სხვა სახელმწიფოებშიაც და ჩვენშიც არის წინააღმდეგი ყოველ-გვარი სახელმწიფოებრიობისა. ამას ემატება ისიც, რომ სხვა და სხვა პროვოკატორები, ზოგჯერ თვით კომისრებიც ავრცელებენ ერობაზედ ინსინუაციებს[3]. თემის ერობის აურჩევლობაში სხვათა შორის ბრალი მიუძღვის ერობის საარჩევნო ინსტრუქტორებს, რომელთა ჯამაგირი მიიღეს ერობიდან და არაფერი გაუკეთებიათ. გარდა იმისა, რომ ერთ ჯერ ან ორ ჯერ წავიდნენ სოფლად. არჩეული თემის ერობათა მდგომარეობაც ვერ არის სასურველი, ვინაიდან ხმოსნები პირველადვე გულგრილად ეპყრობიან თავის მოვალეობას. ამას უნდა დაუმატოთ ისიც რომ თემის ერობებს არა აქვთ არავითარი საღსარი **(სეა სცა, ფ. 1921, ან. 1, ს. 345: 21-22).**

როგორც ლეო შენგელაიას ზემოთ მოტანილი მოხსენებებიდან ირკვევა, მას ძალიან რთულ პირობებში უხდებოდა ზუგდიდის მაზრის ერობის თავმჯდომარის თანამდებობაზე ყოფნა. ამ პერიოდში მაზრაში გაბატონებული იყო ყაჩაღობა, ანარქია. საერობო მმართველობის სისტემა ამ დროს ყალიბდებოდა. არ არსებობდა ერობის დებულება. ერობა ცენტრალური ხელისუფლებიდან არ ფინანსდებოდა. შესაბამისად, თვითონ ერობას უწევდა თვითდაფინანსების მოპოვება. მაზრა განიცდიდა კვალიფიციური კადრების ნაკლებობას და სხვ. მიუხედავად აღნიშნული პრობლემებისა, ლეო შენგელაიამ ზუგდიდში ერობის თავმჯდომარედ ყოფნისას ადგილობრივი მოსახლეობის კულტურისა და განათლების საქმეში საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა. ერობის დადგენილებით თავად ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მინგრილსკისა და პრინცესა ანტუანეტა (ბებე) მიურატისთვის ადგილ-მამულებისა და სასახლეების კონფისკაციის ბაზაზე ზუგდიდში გაიხსნა მუზეუმი, სამეურნეო სკოლა, საავადმყოფო **(იხ. დანართი 1) (სეა სცა, ფ. 1863, ან. 1, ს. 1085: 19, 50-51, 55-56; სეა სცა, ფ. 1863, ან. 1, ს. 610: 52).**

თუ როგორ მოხერხდა ზუგდიდის მაზრაში საექიმო-სანიტარული საქმის წარმოება, ამაზე მიუთითებს 1920 წლის 10 თებერვალს ზუგდიდის მაზრის ერობის თავმჯდომარის – ლეო შენგელაიას მიერ გაგზავნილი მოხსენება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრისადმი, სადაც აღნიშნავს: „*ზუგდიდის მაზრის გამგეობამ შეძლო ცენტრალური ქირურგიული 20-საწოლიანი საავადმყოფოს გახსნა. მაზრაში ასევე ფუნქციონირებდა წალენჯიხის, ხობის და ჩხოროწყუს საავადმყოფოები. ერობამ შავი ზღვის რკინიგზის საავადმყოფო გადმოიბარა*“ **(სეა სცა, ფ. 1863, ან. 1, ს. 977: 200-201).** გარდა საავადმყოფოებისა, მაზრაში საძირკველი ჩაეყარა ათამდე საექიმო პუნქტს, სადაც ჯერ-ჯერობით, ვინაიდან ექიმების შოვნა გაჭირდა, მსახურობენ ექიმების თანაშემწენი (ფერშლები). ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ საექიმო-სანიტარული საქმე წესიერად იქნება ჩამოყალიბებული, მხოლოდ მაშინ, როცა საექიმო რჩევა-დარიგებასთან ერთად ხალხს მიეცემა საშუალება ისარგებლოს ხელმისაწვდომ ფასებში კეთილთვისების წამლებით. გამოვდივართ რა ამ მოსაზრებიდან, გადაწყვეტილი გვაქვს, მოვაწყოთ საერობო აფთიაქები ამ დროებით მაინც იმ პუნქტებში, სადაც საავადმყოფოები არსებობს. რომ ჩვენ მიზანშეწონილ მისწრაფებას წინ არ გადაეღობოს კერძო მეაფთიაქეთა მიერ პირადი ინტერესების დასაცველად გამოწვეული დაბრკოლებები, ვითხოვთ, ნება მოგვეცეს, თუ საჭიროდ და ფართო მასისთვის საკეთილდღეოდ დავინახავთ, შევისყიდოთ რეკვიზიციის სახით სამართლიან ფასში ესა თუ ის მაზრაში არსებული კერძო აფთიაქი. კვლავ მოგახსენებთ, რომ ასეთი ზომა აუცილებელია სოფლად სამეცნიერო ექიმობის გასაძლიერებლად და ხალხთა დასახმარებლად“ **(სეა სცა, ფ. 1863, ან. 1, ს. 610: 22).**

ასევე დაარსდა ქართული გიმნაზია და გაიხსნა ახალი სკოლები ნაჭვში, სარაქონში, ულურიაში, ქალაღალში, ლეშამგე-ჩქვალერში, ზემო წალენჯიხაში. მოეწყო მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ექვსთვიანი კურსები, სადაც ლექციებს ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებზე კითხულობდა თავად ლეო ქიაჩელი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს – მიხეილ იონას ძე მეუნარგიას სწავლის დამთავრებამდე დაენიშნა ერობის სტიპენდია და სხვ **(თოფურია, 1984: 186-187).**

მაზრაში არ იყო რკინიგზა. ამიტომ ის მოკლებული იყო იმ ეკონომიკური შემოსავლის წყაროს, რომლითაც სხვა მაზრები სარგებლობდნენ, სადაც რკინიგზა იყო გაყვანილი **(სეა სცა, ფ. 1863, ან. 1, ს. 977: 200-201).** ამიტომ ერობამ მიზნად დაისახა მაზრაში რკინიგზის გაყვანა **(სეა სცა, ფ. 1921, ან. 1, ს. 17: 4-70; სეა სცა, ფ. 1921, ან. 1, ს. 345: 1-36)**.

სწორედ ლეო შენგელაია იყო ამ იდეის სულისჩამდგმელი. აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით 1919 წლის 15 ოქტომბერს ზუგდიდის სამაზრო ერობის ყრილობის სხდომაზე მოხსენება გააკეთა გამგეობის თავმჯდომარემ — ლეო შენგელაიამ: „მთავრობამ გამოიყვანა რკინის გზა სენაკიდან ხეთამდე და იქ შეაჩერა. მთავრობა პირობას იძლევა, რომ თუ ჩვენ მოვახერხებთ და გამოვიყენებთ რკინის გზას ხეთიდან ზუგდიდამდე, გადმოგვცემს ყოველ ასაშენებელ მასალას და აშენების შემდეგ გადმოგვცემს მატარებლის შემადგენლობას, ეს საქმე ჯერ ჯერობით არ გვარდება. მას უნდოდა შეედგინა სააქციონერო კომპანია, ერობა შეიძენდა ერთი მილიონის აქციებს და ამისათვის მან მიმართა ზუგდიდელ ვაჭრებს, მაგრამ მათ ვერ შეიგნეს საქმის ვითარება, ვერ გაითვალისწინეს რომ შექმნილ პირობებში მთელი ცენტრი მოძრაობისა გადადის ზუგდიდიდან ხეთაში და ამის შემდეგ ზუგდიდს ყოველივე მნიშვნელობა ეკარგება. ეს უკანასკნელი მოვლენა კი საზარალო იქნებოდა მთელი მაზრისათვის **(იხ. დანართი 2) (სეა სცა, ფ. 1921, ან. 1, ს. 345: 29).**

ზემოთ დამოწმებული საარქივო დოკუმენტების გათვალისწინებით ლეო შენგელაიას (ლეო ქიაჩელის) პოლიტიკური მოღვაწეობა ზუგდიდის ერობის თავმჯდომარის თანამდებობაზე მხოლოდ და მხოლოდ დადებითად შეიძლება შეფასდეს.

შენიშვნები:

1. სოციალისტურმა ბლოკმა სამაზრო ერობაში გაიყვანა 17 ხმოსანი, აქედან: საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ – 9, ხოლო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიამ — 8 ხმოსანი.

2. იოსებ კვარაცხელია (1883-?) – ქართველი პოლიტიკოსი. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ წალენჯიხაში წითელი რაზმის ორგანიზატორი და კომისარი იყო. 1919 წელს დამფუძნებელ კრებაში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით აირჩიეს. 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყებისას ხელმძღვანელობდა ზუგდიდ-წალენჯიხის რაზმებს.

3. მონაჭორი ვინმეს სახელის გასატეხად, ცილისწამება.

თავი 8

გვიანი შემოდგომაა 1902 წლისა. მინავლებული მზე სუსტად ათბობს დედამიწას. საქონლის ძველებური ზმუილი ორღობეებში არ ისმის, ხეებსაც გაყვითლებული ფოთლები აქა-იქ შერჩენიათ, სადღაც ურმის ჭრიალის ხმაა, ცივმა ქარმაც წამოუბერა...

ალექსანდრე მესხია 24 წლისაა, ლევან მესხია – 14 წლის, დანიელ ფიფია კი მხოლოდ 6-ის!

მაგნოლიასთან 7 ახალგაზრდა შეკრებილა, რაღაცაზე საუბრობენ... მალე გამოჩნდება გუჯა მესხია, ესალმება ახალგაზრდებს და ცოტათი გაოცებული სახით აქეთ-იქით იყურება...

– ანტონ, ალექსანდრე არ მოსულა? – ეკითხება ანტონ მესხიას გუჯა.

– არა, ჯერ არ მოსულა, – პასუხობს ანტონი.

– რატომ იგვიანებს, ნეტავ? – გაკვირვებული კითხულობს გუჯა, – გუშინწინ ბავშვები რომ მივუყვანე, ცოტა გაციებული კი ჩანდა, მაგრამ არა უშავს, გამივლისო, მითხრა. ნეტავ, ხომ არ გაურთულდა?

ამ დროს შენიშნეს, მათკენ მომავალი ალექსანდრეს მამა როსტომი. იგი მიესალმა უბნის ახალგაზრდობას და მერე გუჯას მიუბრუნდა:

– გუჯა, დღეს ალე ვერ მოვა...

– რატომ? ხომ არ გაციებულა, ალექსანდრე?

– არა, გაციებამ გაუარა. დღეს ალე ელის თავის განუყრელ მეგობარს – პავლე აკობიას! – უპასუხა როსტომმა.

– პავლე აკობიას? – იკითხა გუჯამ და დაფიქრდა, – ჰო, ალექსანდრესგან გამიგონია, ზუგდიდში ერთად ვსწავლობდითო...

– დიახ, ასეა, – უპასუხა როსტომმა და გაგრძელა, – სამი წარჩინებული მოწაფე სწავლობდა ზუგდიდის სამოქალაქო სასწავლებელში. მათ 1896 წელს სასწავლებელი ერთად დაამთავრეს.

– ამათი მესამე მეგობარი ვინ იყო?

– მესამე მეგობარი ზუგდიდელი გიორგი გვათუა იყო. 1899 წელს, ჩემი ალე, გიორგისთან ერთად შვეიცარიაში გაემგზავრა, ჟენევის უნივერსიტეტში შესასვლელად... ეს ამბები, მგონი, იცი შენ, გუჯა! – უთხრა როსტომმა.

– კი, მახსენდება, – ეუბნება გუჯა, – ალექსანდრე გვათუაზე მესაუბრებოდა, თუ როგორი ნიჭიერი იყო ის... მაგრამ, პავლე აკობია რატომ არ გაემგზავრა მათთან ერთად შვეიცარიაში? აი, რა მაინტერესებს...

– აკობიას ბედი სხვაგვარად წარიმართა... – თქვა როსტომმა, – 1897 წელს პავლე გაიწვიეს მეფის რუსეთის ჯარში, რამაც მისი გეგმები ჩაშალა. მას განათლების მიღება სურდა პეტერბურგში ან საზღვარგარეთ. თბილისის გარეუბანში მდგარ რუსულ ბატალიონში განუმწესებიათ. ცოტა ხანში მოუხერხებია გაქცევა, თმა და წვერი მოუშვია, რათა არ ეცნოთ, იმალებოდა ნაცნობთან თბილისში, მაინც მიაგნეს, დაიჭირეს და ჩასვეს რუსეთის ციხეში...

– გასაგებია, – თქვა გუჯამ და ახალგაზრდობას მიმართა, – რადგან დღეს ალექსანდრე თავის მეგობარს ელოდება, ამიტომ ლექცია არ იქნება, სხვა დროს ჩაატარებს მას ალექსანდრე. მანამდე კი უფრო მეტი ახალგაზრდა მოვიზიდოთ და დავაინტერესოთ...

ახალგაზრდობა დაიშალა.

– გუჯა, შენ წამოხვალ ჩემთან სახლში, ალექსანდრე გაგაცნობს თავის მეგობარს, – უთხრა როსტომმა.

გზაში გუჯა ისევ ეკითხება როსტომს:

– გიორგი გვათუა ისევ იქაა?

– სამწუხაროდ, წვალობს, რადგან სიღარიბესა და დიდ გასაჭირში ცხოვრობს... რამდენიმე წერილი გამოუგზავნა ალეს, ამანაც მისწერა... რა თქმა უნდა, იქაა... ბოლო ხანებში უკვე არ იწერება...

– ვინ იცის, რა დონეზე უჭირს, – სინანულით თქვა გუჯამ.

მალე როსტომის ლამაზი ოდა-სახლი გამოჩნდა. ალექსანდრე გამოეგება მათ.

– მეგობარს ელი, ალექსანდრე, ხომ? – ღიმილით ჰკითხა გუჯამ.

– დიახ, ჩემი საუკეთესო მეგობარი, უპასუხა ალექსანდრემ, – საცაა მოვა, ყულიშკარის გზით მოდის, ფეხით მოდის ჩემი მეგობარი...

– რომელ სოფელში ცხოვრობს?

– პავლეს სოფელი კახათია, – უთხრა ალექსანდრემ, – მე უნიჭიერესი მეგობარი მყავს, მას სურდა პარიზში გამგზავრება, ანუ ფრანციაში და იქ ახალდაარსებულ თავისუფალ უნივერსიტეტში შესვლა. მან ძალიან ბევრ ცნობილ ადამიანს სთხოვა დახმარება, მაგრამ პავლეს ასე პასუხობდნენ: შენისთანები ათასიაო!.. ამიტომ, პავლემ ვერ შეძლო სწავლის გაგრძელება. მანაც ჩემსავით აიღო ხელში კეთილი იარაღი – თოხი და შეუდგა ყანაში მუშაობას...

– რატომაა ასეთი მუხთალი ეს წუთისოფელი? – სინანულით გააქნია თავი გუჯა მესხიამ, – რატომ უკრავს გზას ცოდნას დაწაფებულ ახალგაზრდობას, რომელიც, სამწუხაროდ, არც ისე ბევრია ჩვენში...

– აქ სხვადასხვა მიზეზი შეიძლება იყოს... მაგრამ ამაზე მოგვიანებით ვისაუბროთ, ახლა კი იმას გეტყვი, გუჯა, რომ ყმაწვილები კარგად ეუფლებიან წერა-კითხვას! – სიხარულით უთხრა ალექსანდრემ.

– ეს ძალიან კარგი ამბავია! – გაუხარდა გუჯას.

– მე უკვე ვხედავ, ეს ორი ყმაწვილი – ლევანი და მაქსიმე, საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანებად ჩამოყალიბდება!.. – დარწმუნებით თქვა ალექსანდრემ.

– რა არის სიზარმაცისა და გულცივობის მიზეზი ახალგაზრდებში, ალექსანდრე? – შეეკითხა გუჯა.

– ქართველები არ არიან უნიჭონი, პრობლემა სხვა რამეა: ჩვენს ქვეყანაში სწავლის საქმე ცუდადაა მოწყობილი. აქაც, სამეგრელოსა და სამურზაყანოშიც სავალალო მდგომარეობაა. საქმე ისაა, რომ ახალგაზრდობას არ ასწავლიან სამშობლო ენას, ქართულს. სწავლის სისტემა არის საბრძოლველი იარაღი ჩვენი განმანათლებლებისა! ზუგდიდის სამოქალაქო სასწავლებელში გვყავდა ერთი კარგი ინსპექტორი, რომელიც ასე გვეტყოდა: ბევრი ქება მსმენია მეგრელთა ნიჭზე, მაგრამ როცა ახლოს გავიცანი მეგრელი ახალგაზრდობა, აზრი შემეცვალა. ისინი არ ყოფილან იმდენად ნიჭიერნი, რამდენად მათი ქება მესმოდაო...

ჩვენ კი ინსპექტორს ასეთ პასუხს ვაძლევდით: მართალია, ზოგიერთი სწავლას ნამდვილად უგულოდ ეკიდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვებიც ასეთები არიან! შეიძლება სხვა რამე იყოს ამის მიზეზი, მიზეზი სიზარმაცისა...

ჩვენი ინსპექტორი საქმით მეტს აკეთებდა, ვიდრე ლაპარაკით. ის, როგორც ოფიცერი, ომობდა შეგნებულად თავის მამულისათვის. სწავლის საქმე არ არისო შეწყობილ-შეფერებული საქართველოს ბუნებასთან – ქართველების სულთან. სწორედ ეს აფუჭებსო საერთო საქმეს!..

ამ დროს ეზოში როსტომის ხმა გაისმა:

– ალე, შვილო, შენი პავლე მოვიდა!

სიხარულით წამოიჭრა ფეხზე ალექსანდრე, წამოდგა გუჯა მესხიაც. ალექსანდრემ სწრაფად ჩაირბინა კიბე და ჭიშკართან გადაეხვია თავის საყვარელ მეგობარს. დიდხანს ეხვეოდნენ ერთმანეთს და ტიროდნენ... მათი შემყურე გუჯაც ტიროდა...

ბოლოს, როსტომი მოეგო გონს და ალექსანდრეს მიმართა:

– შვილო, შემოიყვანე მეგობარი ოჯახში, აქ ისაუბრეთ...

თვალცრემლიანი მეგობრები კიბეზე ამოდიოდნენ... აივანზე პავლეს ალექსანდრეს დედა – ეკატერინე მიესალმა და დარბაზში შეუძღვა.

ძალიან უბრალოდ, ღარიბულად ეცვა პავლეს. წვერს ატარებდა, მწუხარებას წელში მოეხარა, თმა გათეთრებოდა... ჩანდა, რომ პავლე ეკონომიკურ სიდუხჭირეს განიცდიდა, მაგრამ თავისი იდეოლოგიითა და მრწამსით შეუპოვრად ებრძოდა ყოველგვარ სიმახინჯესა და მანკიერებას, რაც მაშინ საზოგადოებაში არსებობდა!..

ალექსანდრეს დედა სუფრის გაშლას შეუდგა, როსტომმა კი სამზადს მიაშურა.

პავლემ პატარა ხელჩანთიდან ამოიღო ჟურნალი, მაგიდაზე დადო და თვალებიდან ცრემლები წამოუვიდა...

– რა მოხდა, მეგობარო? – შეეკითხა გაკვირვებული ალექსანდრე.

– ჩვენი ძმა და მეგობარი – გიორგი გვათუა აღარა გვყავს ცოცხალი, ძმაო ალექსანდრე, – ტირილით დაიწყო პავლე აკობიამ.

– ვაიმე! – შესძახა ალექსანდრემ, – ვაიმე, ძმაო, გიორგი, ხომ გეუბნებოდი, თავს გაუფრთხილდიმეთქი, რატომ არ დამიჯერე, ძმაო?! ცოდნის მიღება – ეს იყო ჩვენი მთავარი მიზანი, ამიტომ წავედით ჩვენ ჟენევაში, მაგრამ უსახსრობამ გზა შეგვიკრა... მაშინ გთხოვე, დავბრუნდეთ სამშობლოში-მეთქი. რატომ არ დამიჯერე, ძმაო. იქ ორივეს დუხჭირი ცხოვრება გვქონდა, ხშირად საჭმლის ფულსაც ვერ ვშოულობდით, ნახევრად მშივრები ვიყავით, ძმაო გიორგი... მე რომ დავბრუნდი, მერეც გთხოვდი სამშობლოში დაბრუნებას, იქაური ექიმებიც, როგორც თავად ინერებოდი, ამას გირჩევდნენ!.. რატომ ძმაო, რატომ არ შეისმინე თხოვნა-მუდარა?! – მოთქვამდა ალექსანდრე და ცრემლები ღაპაღუპით მოსდიოდა თვალებიდან... მათი შემხედვარე გუჯა მესხიაც ტიროდა... როსტომი კართან იდგა ასევე დაღონებული...

ბოლოს, პავლემ ამოიღო ხმა:

– აგერ, ძმაო და მეგობარო, ალექსანდრე, გადაფურცლე ეს ჟურნალი და ნახავ ჩვენი ძმისა და მეგობრის – გიორგის გარდაცვალებაზე ცნობას...

აკანკალებული ხელებით აიღო ჟურნალი ალექსანდრე მესხიამ და ცრემლიანი თვალებით დახედა. ჟურნალზე ეწერა: „კვალი“, № 5, 1901 წელი. ალექსანდრემ გადაფურცლა ჟურნალი და

მეთვრამეტე გვერდზე ნახა ასეთი ცნობა –

წერილი ჟენევიდან :

„ამ დღეებში აქ გარდაიცვალა 22-23 წლის ახალგაზრდა ქართველი მოსწავლე გიორგი თეიმურაზის ძე გვათუა (ზუგდიდის მაზრიდან). საბრალო აქეთ წამოსულიყო სწავლის შესაძენად და, თუმც შევიწროებულ პირობებში იყო ნივთიერად, ხშირად აკლდა საჭმელ-სასმელი, ტანისამოსი და სხვა. მაგრამ მისი ენერგია ვერაფერმა შეასუსტა და ავადმყოფობამაც წიგნი ხელიდან ვერ გააგდებინა... განსვენებული შესაფერისი პატივით დავასაფლავეთ. განსაკუთრებით დიდი პატივი გვცეს სომხების ახალგაზრდობამ, რომელმაც განსვენებულის კუბოს გვირგვინი დაადვა. მისი გარდაცვლის მიზეზი მისი სიღარიბე იყო და არა სხვა რამე. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ენერგიანო ახალგაზრდავ.“

დიდხანს იტირეს და ვერ დამშვიდნენ ალექსანდრე და პავლე... ამ დროს როსტომმა ხელადით ღვინო შემოიტანა და სუფრის ხელმძღვანელობა გუჯა მესხიას სთხოვა...

– მოდით, ახალგაზრდებო, თქვენი ძმისა და მეგობრის – გიორგის შესანდობარი იყოს! – თქვა ნაღვლიანი ხმით გუჯა მესხიამ.

გიორგი გვათუას ხსოვნის შესანდობარი დაილია... სუფრაზე მისმა მეგობრებმა ბევრი რამ გაიხსენეს და ისაუბრეს გიორგის კეთილშობილ აზრებზე, სასწავლებელში სწავლების წარმატებულ წლებზე, მის ფილოსოფიასა და ჰუმანიზმზე!..

* * *

ალექსანდრეს პავლე აკობიას ბედიც აინტერესებდა... მას შემდეგ, რაც სასწავლებელი დაამთავრეს, ფაქტობრივად, ერთმანეთი არც უნახავთ. უკვე 5 წელი გასულიყო...

– შენზე მხოლოდ ის ვიცი, პავლე, რომ 1897 წელს რუსეთის იმპერიის ჯარში გაგიწვიეს. არ მოისურვე სამსახური, ჯარიდან გამოიქეცი, იმალებოდი, მაგრამ მოგძებნეს და ციხეში აღმოჩნდი...

– ჰო, ასე იყო, ძმაო ალექსანდრე, – მძიმედ დაიწყო პავლემ, – ახლა, გახსენებაც არ მინდა, რუსეთის ციხეში გატარებული წლების!.. ყველაფერი გამოვიარე – წამება, შიმშილი, სიცივე, პიროვნული შეურაცხყოფა, დამცირება... იძულებული გავხდი, ბოლომდე გამეძლო!.. ეეჰ!.. – ამოიოხრა პავლემ.

– სწავლის წყურვილი გვამოძრავებდა ჩვენ, სამივეს, პავლე! – დაიწყო ალექსანდრემ, – მე და საწყალი გიორგი ბედმა შორს – შვეიცარიაში წაგვიყვანა, შენ კი – რუსეთში!.. მაგრამ უსახსრობამ სამივე დაგვჩაგრა. ჩვენს შორის ყველაზე ტრაგიკული ბედის მაინც გიორგი აღმოჩნდა...

– სამწუხაროდ, ასეა, – დაეთანხმა პავლე თავის მეგობარს.

– ციხის მერე შენი ბედი როგორ წარიმართა, პავლე? – ისევ ეკითხება ალექსანდრე.

– მინდოდა ილიას შევხვედროდი. ჯერ ჩამოვედი ჩემს სოფელში. მამაჩემი – გვატია აკობია ღარიბი მეურნეა. ცოტა ხანს მივეხმარე მამაჩემს სამეურნეო საქმიანობაში. ყანაში ეკალ-ბარდი გავკაფეთ, სხვადასხვა სამუშაოები შევასრულეთ, მერე მამაჩემს ვუთხარი, თბილისში უნდა წავიდე და დამოუკიდებლად ვიმეცადინო-მეთქი. საწყალმა მამაჩემმა 40 მანეთი ისესხა და თბილისში გამამგზავრა...

– მერე, შეხვდი ილიას?

– მას რომ შევხვედროდი, თბილისიდან საგურამომდე ფეხით ჩავედი, მაგრამ ბედმა მიმტყუნა...

– როგორ?

– ილიამ ასეთი პასუხი გამცა: ახალგაზრდები, საზღვარგარეთ რომ მიდიან ცოდნის შესაძენად, ივიწყებენ ჩვენი სამშობლოს ბედს, არაფრად მიაჩნიათ საერთო საქმე. ისინი მხოლოდ პირადი ინტერესებით ხელმძღვანელობენო...

პავლე დადუმდა, ალექსანდრეც არ იღებდა ხმას...

– მიუხედავად ასეთი პასუხისა, მე დღესაც ილიას თანამოაზრე და მიმდევარი ვარ! – ბოლოს თქვა პავლემ.

– მეც ასე, პავლე! – უპასუხა ალექსანდრემ.

– როცა რუსეთში ვიყავი, გადავწყვიტე ტულიდან ფეხით წავსულიყავი იასნაია პალიანაში, რათა გავცნობოდი რუს მწერალს – ლევ ტოლსტოის! – უთხრა მეგობარს პავლემ.

– როგორ შეგხვდა ლევ ნიკალაევიჩი?

– მას ძალიან გაუკვირდა ტულიდან ფეხით რომ ჩავედი მის სამშობლოში – იასნაია პალიანაში. როცა შეიტყო ჩემი ჩამოსვლის მიზეზი, მკითხა, ჩემი წიგნები წაკითხული გაქვს თუ არაო და როცა ვუპასუხე, ყველა არა-მეთქი, მირჩია, წაიკითხე და გამიცნობო!.. ილიასგან განსხვავებით, ტოლსტოიმ სახლში არ გამაჩერა, იმ მოტივით, რომ ის სახლი მას არ ეკუთვნოდა. იძულებული გავხდი, ისევ უკან ფეხით წამოვსულიყავი...

– ამას უბედობა ჰქვია, – პირველად ამოიღო ხმა გუჯა მესხიამ.

– მე კი, ნიკალაევიჩისგან განსხვავებით ღამეს გარეთ არ გაგათევებინებ, ჩემო ძმაო! – ხუმრობით უთხრა ალექსანდრემ.

პავლემ სევდანარევი ღიმილით გადახედა მეგობარს...

– ახლა რას საქმიანობ, ალექსანდრე? – შეეკითხა პავლე.

– ძირითადად, როგორც ხედავ, აქ ვარ, ოჯახში, – პასუხობს ალექსანდრე, – ვეხმარები მამაჩემს სამეურნეო საქმიანობაში, ასევე, მყავს ბავშვები, რომლებსაც წერა-კითხვას ვასწავლი...

– ეს ძალიან კარგი ამბავია! – მოეწონა პავლეს, – ესე იგი, მოზარდების აღზრდა დაგისახავს მიზნად!.. ოო, ალექსანდრე, მეტად კეთილშობილი

ვალერი ძაძამია

ღევან მესხია

რომანი-ქრონიკა

ვალერი ძაძამიას ეს რომანი, რომლის ორ თავსაც გთავაზობთ ჭაშნიკად, ისტორიულ ჩანაწერებს ეყრდნობა და ის ლეო ქიაჩელის ბავშვობისდროინდელ ობუჯს აღწერს სახოვნად. რომანის ფურცლებზე ვხვდებით ლეონ შენგელაიას მეზობლებს, მოკეთეებს, ნათესავებს. ვხედავთ ლაკადელ გულმართალ და პირნათელ ადამიანებს, რომელთა შორისაც აღიზარდა მომავალი მწერალი და რომელთა ზნე და მორალური პრინციპებიც დაედო საფანელად მის ხასიათს...

თავი 9

1902 წლის 15 დეკემბერს ალექსანდრე მესხიას ჩანიშნული ჰქონდა ახალგაზრდებთან შეხვედრა მაგნოლიასთან, დღის 12 საათზე.

გუჯა და ანტონ მესხიებმა ამჯერად შეძლეს 14 ახალგაზრდის დაინტერესება და დანიშნულ დროზე მათი შეკრება.

– რა შეკითხვებიც გაინტერესებთ, ახალგაზრდებო, შეგიძლიათ დაუსვათ ალექსანდრე მესხიას, – დაიწყო გუჯამ.

– დღევანდელ დუხჭირ ცხოვრებაზე შეგვიძლია დავუსვათ შეკითხვები ალექსანდრეს? – იკითხა ბახვამ.

– რა თქმა უნდა, შეგიძლიათ!

– წერა-კითხვასა და განათლებაზე დასმულ შეკითხვასაც უპასუხებს, ალექსანდრე? – ასე დასვა კითხვა სვიმონმა.

– უპასუხებს, აუცილებლად უპასუხებს! – დაარწმუნა გუჯამ ახალგაზრდობა.

– ხალხის ღირსებაზეც შეიძლება თუ არა ვკითხოთ, ალექსანდრეს? – იკითხა შალვამ.

– ამ კითხვაზეც გაგცემთ პასუხს, ალექსანდრე! – უპასუხა ანტონმა.

– ოჯახზე? ოჯახურ ბედნიერებაზე? – დაინტერესდა თედო.

– ამაზეც ექნება პასუხი, ალექსანდრეს! – კვლავ დაავჯერა გუჯამ ახალგაზრდობა...

12 საათი სრულდებოდა, როცა გამოჩნდა ალექსანდრე მესხია. იგი სათითაოდ, ხელის ჩამორთმევით, მიესალმა ახალგაზრდებს და მადლობა გადაუხადა შეკრებისთვის.

მერე გუჯას მიუბრუნდა და ღიმილით უთხრა:

– დიახ, ვწერ, განსაკუთრებით, ფილოსოფიურ აზრებს, რომელთაც „ჩემი ძიებანი“ ვუწოდე. მაგრამ, როგორც გითხარი, ჯერ კიდევ დასახვეწი მაქვს მასალები, – პასუხობს მესხია.

– მე მჯერა შენი, ძმაო ალექსანდრე, – სიყვარულით ეუბნება პავლე და ისევ გადაეხვევა მეგობარს, – ერთადერთი ძმა მყავხარ აზროვნებასა და მწერლობაში!.. ცხონებული გიორგი გვათუაც ჩვენი მოაზრე იყო, მაგრამ დავკარგეთ!.. ჩვენ მაინც არ დავკარგოთ, ძმაო ალექსანდრე, ერთმანეთი! – მუდარასავით უთხრა პავლემ თავის მეგობარს.

– არა, ძმაო პავლე, ეს არ მოხდება, ჩვენი ნიჭი და მონდომება მოხმარდება საერთო საქმეს, საზოგადო საქმეს, ჩვენი ტანჯული ძმების კეთილდღეობას!.. – მტკიცე ხმით პასუხობს ალექსანდრე.

კვლავ მოეხვევიან ერთმანეთს და ტირიან...

იმ ღამეს პავლე აკობია დარჩა ალექსანდრე მესხიას ოჯახში...

გუჯა მესხიას წასვლის მერეც ორმა ძმამ და მეგობარმა კიდევ დიდხანს ისაუბრა...

იმ ღამეს მათ ერთმანეთს შეჰფიცეს, რომ მარად დარჩებოდნენ თანამოაზრეებად, საერთო საქმის შეუპოვარ დამცველებად და განუყრელ ძმებად!..

მაგრამ, განგება სხვაგვარად ფიქრობდა, ალექსანდრეს სიცოცხლის დასასრულამდე თვეებიღა რჩებოდა...

– გუჯა ბატონო, მეცადინეობის დამთავრების შემდეგ, როცა ყმაწვილებს სახლში ვუშვებდი, შენმა ბიჭმა ერთი პატარა საიდუმლო გამანდო.

გუჯა დაფიქრდა და მერე თავი გააქნია:

– ვერ მივხვდი, ალექსანდრე, რა საიდუმლო უნდა გაენდო ჩემს ლევანს შენთვის?

– შენმა ბიჭმა ასეთი რამ მითხრა, მამაჩემმა და მე სოფელში უნდა ავაშენოთ ქვითკირის სახლი და ეს იქნება პირველი ქვის სახლი ობუჯის სინამდვილეშიო, ამას ჩვენ შევძლებთო! ისეთი რწმენით მეუბნებოდა ამას შენი ბიჭი, რომ არ შემექო, არ შეიძლებოდა. მერე კი დაუმატა, ასევე ვგეგმავთო კირის ქარხნის აშენებას...

გუჯასაც გაეცინა და თქვა:

– უყურე მაგას, ყველაფერი უთქვამს შენთვის, თუ რას ვგეგმავთ მომავალში!

– როგორც ვატყობ, შენს ბიჭს ტექნიკისადმი მისწრაფება აქვს, გუჯა! ამიტომ, ყოველნაირად უნდა შევუწყოთ ხელი, ასევე, კარგად ერკვევა სამეურნეო საკითხშიც. ჩამომითვალა წინაპართა სახელები და მათი სამეურნეო საქმიანობაც, რაც ძალიან მახარებს!.. მაქსიმეც ყოჩაღი ბიჭია!.. დღეს, ლუდუკის ბიჭი – სანდროც მოიყვანეს. ვფიქრობ, ისიც გამოავლენს ნიჭს, ყურადღებით მისმენდა, მალე, ალბათ, კიდევ მოვლენ ბავშვები და მათი რაოდენობაც გაიზრდება. ოღონდ მათ ისწავლონ და მე არც ცოდნას, არც დროს და არც მონდომებას არ დავიშურებ! – კმაყოფილებით თქვა ალექსანდრემ.

– დიდი მადლობელი ვარ შენი, ალექსანდრე, იმ მონდომებისთვის, იმ სითბოსთვის, იმ უშურველობისთვის და იმ სიკეთისთვის, რასაც შენ ჭეშმარიტად, უანგაროდ გასცემ!.. უფალი დიდია, იმ შენს შემართებას და ღვაწლს, მჯერა, აუცილებლად დაგიფასებს! სხვათა შორის, შენი ასეთი, უანგარო მოქმედება როგორ მოეწონა და შეგაქო შენმა ნიჭიერმა მეგობარმა პავლე აკობიამ!..

ალექსანდრემ მადლობა გადაუხადა გუჯას და მიმართა შეკრებილ ახალგაზრდობას:

– ახალგაზრდებო, ჩემო ძმებო, ჩემო მეგობრებო, მინდა გესაუბროთ საზოგადოებაში არსებულ ბევრ ცუდ და მავნებელ ჩვეულებაზე. მე ხშირად ვწერ ამაზე და ახლა თქვენს წინაშე გამოსვლისას მსურს ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საჭირო და აუცილებელიცაა მივატოვოთ ის ჩვეულებანი, რომელნიც ჩვენს ზოგიერთ წინაპარს კარგად მიაჩნდა, მაგრამ დღეს კი დიდად მავნებელნი არიან ჩვენთვის.

როცა ვწერდი და მოვუწოდებდი ხალხს, თუ რამდენად სასარგებლო იქნებოდა მათთვის იმ მავნე და უვარგის ჩვეულებათა მიტოვება-დავიწყება, ყველანი მეთანხმებოდნენ ამაში სიტყვიერად და ასე იტყოდნენ: „ძლიერ კარგი იქნება, რომ მიატოვებდნენ ამა და ამ ჩვეულებას,“ ამბობდნენ ამას, მაგრამ მე არც ერთისაგან არ გამიგონია – „მოდი, მივატოვოთ!“ ზოგი მათგანი ასე იტყოდა: „სხვა რომ მიატოვებდეს, მეც მივატოვებო.“

ასეა ცხოვრებაში. ყველა ამბობს სიტყვიერად, რომ სიმართლე, ძმობა და სიყვარული კარგი რამ არის; ამბობენ, ამას სიტყვით, მაგრამ არც ერთს იმათგანს არა აქვს იმდენი შეგნება, სიმამაცე და სიმტკიცე, რომ საქმით აკეთოს ის, რასაც სიტყვით აღიარებენ...

– მერედა, სად იმალება ამის მიზეზი, ალექსანდრე? რატომ არ ჰყოფნის ადამიანს იმის გამბედაობა, რასაც სიტყვით აღიარებს, ის საქმის კეთებით დაამტკიცოს? – შეეკითხა ალექსანდრეს პახვალა.

– სად იმალება ამის მიზეზი? – კითხვითვე დაიწყო პასუხის გაცემა ალექსანდრემ, – დიახ! მიზეზი ადამიანობაა კაცისა... მიზეზი ბუნებრივი სისუსტეა კაცისა. ამასთან დიდი გავლენა აქვს კაცის სულიერ სიმტკიცეზე იმას, თუ როგორ იზრდება კაცი, როგორ წრეში იზრდება ის, რიგიანი აღზრდით შეგვიძლია გავამაგროთ ხასიათი კაცისა, რომ მან შეძლოს კეთება საქმით იმისი, რასაც ის აღიარებს სიტყვიერად. ამიტომ, ძმებო, არასოდეს არ უნდა გავაკეთოთ იმისთანა რამე, რაც სარგებლობას არ მოუტანს მოყვასს, მეგობარს, ნათესავს, საზოგადოებას!

– ალექსანდრე, რამდენი სარწმუნოებაა ქვეყანაზე? – შეკითხვა დაუსვა ალექსანდრეს მოსემ.

– ჩემო ძმებო, ქვეყანაზე, ჩათვალეთ, რომ სამი სარწმუნოებაა. ესენია: ყაჩაღური, პირმოთნეული და ქრისტიანული. პატივისცემა კაცისადმი სამნაირია: ეშმაკური, შიშით პატივისცემა და სიყვარულით პატივისცემა!

აუცილებლად უნდა გავყვეთ კეთილ გზას, ძმებო, გზას, ქრისტეს მიერ დასახულს!

– ალექსანდრე, რა არის მიზეზი იმისა, რომ უმრავლესობა არ მიჰყვება კეთილ გზას? – შეეკითხა ანდრო.

– უმრავლესობას აქვს იმის შეძლება, კეთილ გზას რომ გაჰყვეს, თუკი მან იპოვა ჭეშმარიტად კარგი წინამძღოლი. უბედურება იმაშია, რომ წინამძღოლი არა სჩანს... წინამძღოლნი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრებისა ამბობენ ერთს, აკეთებენ მეორეს, ამიტომ ხალხიც ამბობს ერთს, აკეთებს მეორეს. დრო არის, არ ატყუებდნენ კაცები თავიანთ თავს და არც სხვას; დროა, დავიწყოთ საქმის კეთება!

– ალბათ, ამიტომაა ბევრნი იღუპებიან ანუ საზოგადოებისთვის მავნენი არიან თავიანთი გაუაზრებელი ქმედებით! – აზრი გამოთქვა პეტრემ.

– სწორია, პეტრე! – თქვა ალექსანდრემ, – საზოგადოებას, რომ დროზე მიეცა დახმარება მათთვის, რომელნიც ჩავარდნილნი არიან ბინძურ ტლაპოში, ისინი შეიქნებოდნენ კარგნი წევრნი საზოგადოებისა! იცით, კიდევ რას გეტყვით, ძმებო, ჩვენ ვისჯებით ბუნებისგან იმიტომ, რომ ბუნების ძალას ჩვენს სასარგებლოდ არ ვიყენებთ, არ ვხმარობთ...

– მომავალი თაობის აღზრდაზე რას გვეტყვით, ალექსანდრე? – კითხვა დაუსვა ნესტორმა.

– ჩემო ძმებო, მე მივმართავ ახალგაზრდობის აღმზრდელებს: თქვენ გაბარიათ ყანა... ეცადეთ გამარგლოთ ეს ყანა ისე, რომ არ დაგრჩეთ იმაში ავი ბალახი... თქვენ ხართ მებაღე, გაბარიათ ბაღი, სადაც ხარობენ ნორჩი ხეხილები... ეცადეთ, გაზარდოთ ის ხეხილები სწორად; ეცადეთ, უწამლოთ თუ რომელიმე მათგანს რამე ავადმყოფობა სჭირს; გამოაღებინეთ იმ ხეხილებს ჭეშმარიტად კეთილი და ნოყიერი ნაყოფი.

მასწავლებელნო, აღმზრდელნო ახალთაობისა! თქვენა ხართ მეორე დედა კაცობრიობის შვილებისა, გქონდეთ დედობრივი სიყვარული იმ შვილებისადმი; გამოზარდეთ ისინი კეთილ წევრებად საზოგადოებისა და რიგიან მოქალაქეებად მთელი კაცობრიობისა!

– ვის შეუძლია უფრო დიდი სარგებლის მოტანა კაცობრიობისთვის, ალექსანდრე? – კითხვა დასვა შალვამ.

– ერთ ავადმყოფს, ძმებო, შეიძლება უფრო დიდი სარგებლობა მოჰქონდეს, კაცობრიობისთვის, ვინემ მრავალ ზოგიერთ კარგად მყოფს. ბევრნი კარგადმყოფნი სთესავენ კაცთა შორის სიძულვილს, მტრობას და ზიზღს, – ავადმყოფის სახე, ანუ მისი მდგომარეობა უღვიძებს კაცთა ნამდვილს კაცურ გრძნობას, უღვიძებს სიბრალულს, სიყვარულს და აჩვევს კაცთმოყვარეობას, სიმდაბლეს და თავგანწირვას!

– უკაცრავად, ალექსანდრე, მაგრამ უნდა გკითხოთ, ზოგიერთი რომ გვიმტკიცებს, მთავარი კაცისთვის მხოლოდ კუჭიაო, ანუ მაძღრობა და მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვა, რას უპასუხებდით? – შეეკითხა მაკარი.

– თუ ჩვენი არსებობა კუჭზე იქნება მთლიანად დამოკიდებული, მაშინ რა გითხრათ, ძმებო, მაშინ უკეთესია სულაც არ ვიარსებოთ! კუჭით „აზროვნება“ დამღუპველია!.. ადამიანი მაღალი იდეალებისთვის უნდა იღვწოდეს და იწვოდეს!..

– როგორ პოულობს ადამიანი ბედნიერებას, ალექსანდრე? – ეკითხება ილარიონი.

– ადამიანს, საზოგადოებაში ზნეობრივი რომ უწოდონ, უნდა იყოს ჭეშმარიტად მართალი, მოსიყვარულე, მოღვაწე საერთო კაცობრიული ბედნიერებისათვის და მძებნელი უმაღლესი ჭეშმარიტებისა. ჭეშმარიტ ადამიანს უყვარს ყველა მისი მსგავსი არსება – ადამიანი. ის შეგნებულად ხელს უწყობს მას, რაც აბედნიერებს მის მსგავს არსებებს. შეგნებულად, თავგანწირულად ეწინააღმდეგება მას, რაც მავნებელია მათთვის. ჭეშმარიტად კაცი თავგანწირულად ებრძვის ყველა იმ ხაფანგებს, ყველა იმ მიზეზებს, რომელნიც აწუხებენ, რომელნიც სტანჯავენ ადამიანებს. მის ამგვარ მოქმედებაში, მის ამგვარ თავგანწირვაში ის, ე.ი. ჭეშმარიტი კაცი პოულობს ბედნიერებას. ის კმაყოფილდება სულიერად და ზნეობრივად. ის იბრძვის უფრო სხვისთვის და ამ ბრძოლაში ის ხედავს თავის კაცობას...

– ბოროტებაზე რას გვეტყოდით, ალექსანდრე? – შეეკითხა თევდორე.

– აი, რას გეტყვით, ძმებო, ბოროტების ჩადენა ბოროტების სახელით იმდენად საძაგელი არ არის, რამდენად საძაგელია ბოროტების ჩადენა კეთილის სახელით!.. ბოროტებას უნდა ვებრძოლოთ, ძმებო, მთელი ჩვენი ძალებით!.. მასთან ბრძოლაში არ უნდა ვიღლებოდეთ!.. ბოროტების დამარცხებით ჩვენ ვათავისუფლებთ არა მარტო ჩვენს ხალხს, არამედ მთელს კაცობრიობას!..

– რა შემთხვევაში შეიძლება სიტყვა ჭეშმარიტად იქცეს საქმედ, ალექსანდრე? – კითხვა დაუსვა იპოლიტემ.

– ძმებო, გეტყვით ასე, – ყოველი ხე გამოიცნობის თავისი ნაყოფით, სიტყვა არ არის ჭეშმარიტი ნაყოფი, სიტყვა არის ყვავილი, ნაყოფი კი – ყვავილი ნაყოფად ქცეული, ესე იგი, სიტყვა საქმედ ქცეული!.. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქცევა სიტყვა ჭეშმარიტ ნაყოფად – როცა სიტყვა, საქმე და აზრი ერთიანია, ძმებო!..

– ბრძენზე რას გვეტყვით, ალექსანდრე? – შეეკითხა ერეკლე.

– ბრძენზე ერთის თქმა შემიძლია, ძმებო, – ბრძენი იმდენად თავმდაბალია, რომ ადამიანები იფიქრებენ: ბრძენი სწავლობს სხვებისგან და არა ის ასწავლის სხვებსო! – უპასუხა ალექსანდრემ.

– გამდიდრების მძებნელ ადამიანს რა თვისებები ახასიათებს? – ეკითხება ალექსანდრეს სოლომონი.

– გასამდიდრებლად საჭიროა ადამიანს ჰქონდეს შემდეგი თვისებანი: სიხარბე, შეუბრალებლობა, სიცრუე, უსინდისობა, გაუმაძღრობა... – აუხსნა ალექსანდრემ.

– რა არის სიყვარული? – შეეკითხა დუტუ.

– მოკლედ გიპასუხებთ: სიყვარული თვით კანონიც არის და კანონმდებელიც!

– რა დანიშნულება აქვს ჩვენს სიცოცხლეს? – ბოლო შეკითხვა დასვა კოჭომ.

– ჩვენს სიცოცხლეს რამე დანიშნულება რომ არ ჰქონდეს, რა საჭიროა თვით ეს სიცოცხლე?! – უპასუხა ალექსანდრემ.

ამით დასრულდა საუბარი ახალგაზრდებთან... ახალი შეხვედრის თარიღად 26 დეკემბერი ჩაინიშნეს...

ლეო ქიაჩელის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი მიძღვნილი ერთჯერადი გაზეთი. თებერვალი, 2024 წელი

ESCALADE

Სადღესასწაულოდ მორთულ მდიდარსა და ძალზე ახმაურებულ კაფეში ვიჯექი, მაგრამ მაინც მოწყენილი ვიყავი. ჩემს გარშემო საზეიმო მხიარულება სუფევდა, თამამი, შეუკავებელი და გიჟური... ჩემში კი მძიმე დუმილი ფუსფუსებდა, შავფიქრიანი და გულჩათხრობილი.

ნაირად მორთული ახალგაზრდობის ფაფარ-აყრილი ტალღა როკვითა და ყიჟინით შემოდიოდა კაფეში, ცეკვავდა, ბუქნაობდა, სვამდა და შემდეგ ქუჩაშივე გარბოდა აღტყინებული, რომ საერთო ფერხულში ჩაბმულიყო და ხალხის აზვირთებულ მდინარეს შემატებოდა...

ხოლო მე მაინც ჩემი რამ სევდა მიღიტინებდა გულში და გამოურკვეველი სულიერი განწყობილების ნემსი გულის მიმღებელ თანდათანობით მიჩხვლეტავდა სულს. უცხო იყო იქ ჩემთვის ყოველი, როგორც ყაიდა ქეიფისა და მოლხენის, ისე საერთო წესი დღესასწაულისა. უცხონი იყვნენ იქ ჩემთვის როგორც უნიღბო, ისე ნიღბიანი სახეები... და შუბლშეკრული ნაღვლიანად ვიყავი მიჩქმალული გაბრწყინვებული კაფეს მივარდნილ კუთხეში...

...უკანასკნელი ღამე იწყებოდა სამ დღე-ღამიანი ეროვნული უქმისა, რომელსაც ყოველ წელს დიდი ზეიმით აღნიშნავს ხოლმე პატარა რესპუბლიკა მშვენიერი ჟენევის კანტონისა, მესამე და უკანასკნელი ღამე ნიღბოსანი „Escalade“-ისა.

დიდსა თუ პატარას, კაცსა თუ ქალს, ყველას განსაკუთრებით მოელხინა ამ საღამოს, როგორც ქუჩებში, ისე კაფეში ტევა არ იყო...

ჩემს გვერდით კაფეში უცნაურ ჯგუფს მოეკალათნა. ათამდის იქნებოდნენ. ხმის კილოზე ვამჩნევდი, რომ ქალებიც ერივნენ. ყველას ნიღაბი ჰქონდა სახეზე აკრული. ფანტასტიურად იყვნენ მორთულნი. ყვიროდნენ, სტვენდნენ, სვამდნენ და სადღეგრძელოებს ამბობდნენ.

– მე ვსვამ, – ამბობდა ვაჟთაგანი, – ჩვენი წინაპრებისათვის, რომლებმაც უკუაქციეს ჩვენს ტურფა სამშობლოზე გამოლაშქრებული მტერი!.. დავლიოთ თავისუფლებისა და გამარჯვებისათვის!

– მე კი ვსვამ სიყვარულისათვის! – კრიალა ხმით გამოაცხადა ქალთაგანმა. – სიყვარულისათვის და სხვა არაფრისათვის!

– რომელი სიყვარულისათვის, ჩემო პატარავ? კაცური სიყვარულისათვის, რომელმაც იესოს ჯვარცმა მოგვცა, თუ ქალურისათვის, რომელმაც შენ გუშინ rendez-vous-ზე ორ საათს გაყურყუტა? – ხუმრობით მიმართა ქალს მეზობელმა ვაჟმა, მოხდენილი სიმარდით მოხვია ხელი და მუხლზე დაისვა. – რომელი სიყვარულისათვის, ჩემო ჩიტუნავ?

– იმ სიყვარულისათვის, რომელიც ოთხ საათს მაყურყუტებს rendez-vous-ზე, ჩემო რაინდო! – მიეხმატკბილა ქალი და გულში ჩაეკრა. – ხუმრობა იქით იყოს! ამაოება ყოველი, გარდა ღვინისა!.. დავლიოთ სმისათვის, მეგობრებო! – თქვა რომელიღაცამ.

– მე ვსვამ მხოლოდ სიყვარულისათვის! – უფრო ბეჯითად წარმოსთქვა ვაჟის გულში ჩახუტებულმა ქალმა.

– რომელი სიყვარულისათვის, ჩემო გაპენტილო ბამბავ? იმ სიყვარულისათვის, რომელიც სიბრძნის წყაროა, თუ?..

– რომელიც rendez-vous-ზე რვა საათს მაყურყუტებს, ჩემო კლდე-რაინდო!

– ეჰ, თავი მოგვაბეზრა ამ სიყვარულისაგან! ვსვამ სიცოცხლისათვის!... იგი მეუფეა სიყვარულისა! – ადგა და განაცხადა ქალთაგანმა.

– თუ მაგრეა, ვსვამ სიკვდილისათვის, რომელიც უფალია თვით სიცოცხლისა! – გაეჯიბრა ქალს ვაჟთაგანი.

– მე მაინც ვსვამ სიყვარულისათვის! – კვლავ დაჟინებით ჩაარაკრაკა ამის პირველმა მთქმელმა.

– რომელი სიყვარ... – დაიწყო ისევ მისმა რაინდმა. მაგრამ ამ დროს ერთმა წითელ-ყვითელი ფერით შემოსილმა შავნიღბიანმა ქალმა დაჰკრა სუფრას ხელი და დაიკივლა:

– სმენა! სიტყვა ჩემია!... გაავსეთ ჭიქები!.. გული სფინქსის ბრჭყალებმა ჩამომკაწრეს და უცნაურობა რამ საწამლავივით შემესხა სისხლში! ეს სიყვარული როდია! არც სიკვდილია იგი!

– ისევ და ისევ სიყვარულისათვის! – ჩაურთო თავისი ვაჟის მუხლზე მჯდომარე ქალმა.

– რომელი სიყვარულისათვის? – გადააბა მის სიტყვას მისმა რაინდმა.

– ალბათ, იმ სიყვარულისათვის, – დაცინვით უპასუხა წითელყვითელმა შავმანიღაბმა, – რომელიც ჩვენს მეგობარს თექვსმეტ საათს აყურყუტებს rendez-vous-ზე!

– დიახაც, დიახაც! – დაუდასტურა სიყვარულის მოტრფილე ნიღაბმა. – თექვსმეტი რაა? ოცდათორმეტ საათს!!!

– ეს ერთნაირი „Escalade“-ია, ჩემო კარგო! ამ მხრით მისაღებია შენი სიტყვამახვილობა!.. სიტყვა გამაწყვეტინეთ... მე ვთქვი, რომ სფინქსმა დამბრჭყალა-მეთქი და საწამლავი რამ უცნაური სისხლში შემესხა-მეთქი... მეგონა, რომ იგი სიყვარული არ იყო. ახლა კი ვგრძნობ, რომ სიყვარულია! მეგობრებო! შეყვარებული უნდა ვიყო!

– ვაშა, ვაშა!

– ვაშა, თუ სიყვარული კიდევ არ მოგვჭარბებია!

– ასე თუ ისე, მე ვსვამ სადღეგრძელოს... დიახ... სმენა! ვსვამ სადღეგრძელოს იმ ყმაწვილისას, რომელიც ჩვენს გვერდივ ზის, მაგრამ ჩვენთან არ არის!.. მე მომწონს მისი ნიღაბი და თავდაჭერილობა არტისტული! უცხოელსა ჰგავს, მაგრამ ამას ის იგონებს! შეყვარებულსა ჰგავს, მაგრამ არც ოდეს ყოფილა შეყვარებული!.. შეუბრალებელსა ჰგავს, მაგრამ ტყუილია!... არისტოკრატსა ჰგავს, მაგრამ დემოკრატია!.. სწავლულსა ჰგავს, მაგრამ ამასაც იგონებს... კაცსა ჰგავს, მაგრამ...

– ხა-ხა-ხა!.. ხა-ხა-ხა!.. მაგრამ რა არის? – ერთხმად გადიხარხარა ყველამ.

– მაგრამ სფინქსია! – ბრძანების კილოთი თქვა წითელ-ყვითლიანმა. – მაშ გაუმარჯოს უცნობს! ჩვენს მეზობელ უცნობს, რომელსაც საკუთარი სახე ასე მოხდენილად ნიღაბად აუფარებია! – ამ სიტყვებით სწრაფად მოშორდა თავის ადგილს ამ უცნაური სადღეგრძელოს ავტორი და მაღლა ამართული სავსე ჭიქით ჩემსკენ წამოვიდა.

ახმაურდნენ დანარჩენები, წამოცვივდნენ ფეხზე.

– გაუმარჯოს უცნობს! – დასძახეს და ჩემს სუფრას გარს შემოეხვივნენ.

რაღა დამრჩენოდა, უნდა გამეცა პასუხი. სავსე ჭიქით მივეგებე უცხო სახეებს და მადლობა მოვახსენე.

– მოხარული ვარ, – მივმართე წითელ-ყვითელიანს, – რომ ჩემი ნიღაბი მოგწონებიათ! ჩემდა სამწუხაროდ, მის არჩევანში მონაწილეობა არ მიმიღია... შემიძლია დაგარწმუნოთ, ჩემგან რომ ყოფილიყო დამოკიდებული, სხვანაირს ავირჩევდი!.. მაგრამ... ჩემი ნიღაბის ისტორია ცოტა გრძელია და არ მინდა თავი მოგაწყინოთ!.. გთხოვთ დაბრძანდეთ... ბედნიერი ვარ... ჰეი, მოგვიტანეთ შამპანური!

– ჰო, ჰო... რა თავაზიანი ყოფილა! ნეტავი მართლა უცხოელია, თუ კილოც მოგონილი აქვს?.. თქვენი ვინაობა, ბატონო?

ამის საპასუხოდ ამოვიღე ჩემი სადარბაზო ბარათი და გადავეცი. რამდენიმე თავი შეჯგუფდა ბარათის წასაკითხავად.

– ბარათზე არაფერი რომ არ სწერია? – ერთხმად წამოიყვირეს.

– შეგშლიათ, უცნობო!.. აქ თქვენი ვინაობა არ არის აღნიშნული! – ახმაურდნენ.

– ეს არის ჩემი სადარბაზო ბარათი, ბატონებო! – ვუპასუხე.

– უცნაურია, საკვირველია!

– ახირებულზე უახირებულესია!

– მე კი მშვენივრად ვკითხულობ ამ ბარათზე უცნობის ვინაობას! ახლა მისი სახელიც ვიცი, გვარიცა და ეროვნებაც! – მტკიცედ განაცხადა წითელ-ყვითელიანმა.

– მისტიური რაღაც ამბავია!

– შენი ხელი, მეგობარო! – ხელი გამომიწოდა შავნიღბიანმა ქალმა. – მე და შენ ტყუპები ვართ! ჩემი ვინაობაც მაგ ბარათზეა აღნიშნული!.. ჩემთან! – ამ სიტყვებით დამატანა ხელი და თვალის დახამხამებაში კაფედან გარეთ გამაქანა...

* * *

საოცარი და უცნაური იყო ქუჩა. ჰაერში ყიჟინა და აღტყინების სუნი ტრიალებდა.

მთელი ქალაქი გაკუდიანებულიყო. ჭინკებს გიჟური ფერხული გაემართათ.

– ეს თუ სინამდვილეა, წარმოდგენა რა უნდა იყოს? – ვკითხე ჩემს თანამგზავრს, რომელიც ჭინკასებრ გაჰკიოდა და სულ წინ მეზიდებოდა.

– ყოველი სინამდვილე წარმოდგენაა და ყოველი წარმოდგენა სინამდვილე, მეგობარო! – მიპასუხა ნელი ხმით და შემდეგ უცებ შესდგა და რაც ღონე ქონდა ქუჩის გასაგონად დაიყვირა:

– ჰეი, ისმინეთ! აზრისა და ფიქრის ბორბალი ამ ღამეს შეჩერებულია! ამ ერთ ღამეს მაინც ბედნიერია ჩვენი ქალაქი! ბრუნავს მხოლოდ ერთადერთი ბორბალი სიგიჟისა, რომელსაც უძველესი ღვთაების მთვარის შუქი აბრუნებს! კურთხეულ იყოს იგი!! – ჩვენს გარშემო კუდიანები და რქიანები შეგროვდნენ.

– კურთხეულ იყოს, კურთხეულ იყოს! – გაიმეორეს.

– დიახ, ბრუნავს მხოლოდ ბორბალი სიგიჟისა!.. აი, როგორ! აი, ასე!

დაიჩხავლეს და მყისვე შეჰკრეს ფერხული. დატრიალდა წრე გიჟური სისწრაფით.

მე და ჩემი მეგობარიც ფერხულში ჩავებით.

არ გასულა ხუთი წამიც, რომ გაისმა ჩემი მეგობრის:

– შესდექით!.. მინდა ვიცეკვო ამღამინდელი ცეკვა!

– ვაშა! ვაშა! – მოეწონათ. – უკუდო კუდიანს ცეკვა უნდა! გაიშალენით!

გაქანდა ჩემი მეგობარი და ფერხულის რგოლის შუა ჩადგა.

– დაჰკარით საცეკვაო!

ატყდა სტვენა, კივილ-წივილი.

საიდგანღაც დოლის ხმა გაისმა.

უცებ მოსწყდა მის ადგილს წითელ-ყვითელიანი შავი ნიღაბი და, თითქო ქარს შეესვას ფრთებზე, ზეაფრინდა, მაღლა ჰაერში შეტრიალ-შემოტრიალდა. ვერ მოვასწარი გაკვირვება, რომ იქვე მდგარ ხის ტოტს წაატანა ხელი და ტანის უცები მაღლა შესროლით ზე მოექცა მეორე ტოტს.

– ჰაუ, – დაიკივლა და მესამე ტოტზე გადავიდა. მესამედან მეოთხეზე და ხის წვერზე მოექცა.

– ნამდვილი კუდიანი! ნამდვილი კუდიანი! – დაიგრიალა ხალხმა, – დაიჭირე, ვინც ვაჟკაცი ხარ!

– დიახაც დამიჭირეთ, თუ ვაჟკაცები ხართ! მისი ვიქნები, ვინც პირველი ამოვა ხეზე და დამიჭერს!.. დეე, გაიმართოს Escalade!.. Escalade!

– ჰოო... ნამდვილი Escalade! აი, ნამდვილი Escalade! ყოჩაღ, ქალო, ყოჩაღ!

– Escalade! Escalade! – მოისმოდა ხიდან ვნებიანი მთვრალი ხმა ჩემი უცნობი მეგობრისა.

– მე ვარ შუქი მთვარისა, ასული მისი!.. მე ვატრიალებ ბორბალს ამ ღამინდელ სიგიჟისას Escalade, Escalade!..

რა მეგობარი ვიქნებოდი უცნობისა, თუ პირველი არ ავიდოდი ხეზე!..

გავიხსენე ჭაბუკური... ქართველური ქარის სარტყელი შემოვირტყი და ევროპელთ გადავაბიჯე...

ხეზე რომ აველი, მიმოვიხედე და თვალი მოვკარი, რომ ჩემი უცნაური მეგობარი სულ მაღლა ასულიყო და საკვირველად ჩამოკიდებულიყო ხის წვერის უკანასკნელ სუსტ ტოტზე.

„მართლა კუდიანი არ იყოს-მეთქი“, გავიფიქრე და შევდექი. ცხადი იყო, რომ ის ტოტი, რომელზედაც უნდა ავსულიყავი, არ დამიმაგრებდა.

ვუხმე მეგობარს.

პასუხად ზედ ყურთან მომესმა ჩურჩული:

– ეს ხომ შენა ხარ, მეგობარო? ყოჩაღ... მოგელოდი კიდევაც... ჩუმად იყავ! ისეთი აზრი მომივიდა, რომ პირდაპირ საუცხოოა! წამოდი აქეთ! მომყევი, არ შეგეშინდეს!

– მოითმინე... ხმა ჩემი მეგობრის მესმის, მაგრამ ჩემს წინ კი სხვა დგას! ვისაც ვეძებ, აი, იმ ტოტზე ჰკიდია!..

– არა! ის მე არ ვარ! ღმერთო ჩემო, რა სასაცილოა, მართლა! იმ ტოტზე ჩემი შავი ნიღაბი და წითელ-ყვითელიანი მოსასხამი ჰკიდია მხოლოდ!.. ეს ჩემი იდეაა!.. დამაცადე ახლა!.. დეე, ხალხი მას მიაწყდეს! ჩვენ კი გავიპაროთ და სეირს ვუცქიროთ ქვევიდან! სუ... ჩუმად!.. ჩქარა მომყევი, სანამ ამოვიდოდნენ!

ამ სიტყვებით გაჰყვა ქალი ტოტს.

– Escalade! Escalade! – დაიკივლა კიდევ რამდენიმეჯერ და კატის სიმარდით დაეშვა ძირს ტოტიდან.

მეც მივბაძე მის მაგალითს.

აუარებელი ხალხი ირეოდა ხის ძირში. ყველა ისე იყო ჯიბრით გატაცებული, რომ ვერავინ ვერ შეგვნიშნა.

ყვიროდნენ:

– Escalade! ჩქარა! Escalade!

ვინ ხეზე ადიოდა, ვინ ზურგზე ისვამდა ამხანაგს და ეხმარებოდა...

დიდი ხმაურობა იყო... ჩოჩქოლი...

მე და ჩემი მეგობარი ახლა შორი-ახლო დავდექით.

– აი, ჩემი იდეა! ხომ კარგია! შეხედე, რა ამბავია? თითქო ხეზე მართლა ვინმე იყოს! ხა-ხა-ხა! რა სულელია ხალხი. ნახავ, თუ ჩხუბიც არ მოუვიდესთ!..

ხის ძირში აურზაური იზრდებოდა. აქა-იქ გაისმოდა გინებაც. ბევრი ასულიყო კიდეც ხეზე, ტოტებს ლაწა-ლუწი გაჰქონდა.

– Escalade! Escalade! – გმინავდა ახლა მთელი ქალაქი.

– ადით ჩქარა! არ ჩამორჩეთ!

– მომეცი ხელი!

– მომეშველე!

– ჰე, ჩამოვარდა!

– სისხლი!

– ექიმი!

– ჰაუუუ!

ნამდვილი აჯანყება ატეხილიყო. ნამდვილი ბრძოლა გამართულიყო.

– ხა-ხა-ხა! მეგობარო, არ გეცინება? როგორ მოგწონს ჩემი იდეა? არ გაგონებს, განა ეს სურათი თვით კაცობრიობას, მის ბრძოლას, მის ცხოვრებას? რა კარგია! განა ასე ტყუილად არ იბრძვის კაცობრიობა? განა ასე თავდავიწყებით არ ეპოტინება რაღაც იდეალს, რომელიც ბოლოს და ბოლოს ისეთივე სისულელეა, როგორც ხეზე ჩამოკიდებული ჩემი ნიღაბი და წითელ-ყვითელიანი მოსასხამი!.. ჰაჰა... მიდი, ჰო... Escalade! Escalade!.. აჰა, ვინ იგდებს ხელთ მშვენიერ ქალს! ვინ ხართ მამაცი? ვინ ხართ პირველი?!

საშინლად დამცინავი ხმა ჰქონდა ჩემს მეგობარს. შევხედე: ჩვეულებრივი ქალი იდგა ჩემს გვერდით. არც ლამაზი, არც ულამაზო. მოკლეკაბიანი და მოკლეთმიანი, მაგრამ კოხტა და მოხდენილი, როგორც ფრანგის ქალი.

– ხა-ხა-ხა! – გულიანად იცინოდა იგი და მთელი ყურადღება ბრბოსაკენ ჰქონდა მიქცეული. – მიხვედით? ჩამოიყვანეთ? ხა-ხა-ხა!.. ვინ ხარ პირველი? ხა-ხა!

– პირველი მე ვიყავი, მეგობარო, დაგავიწყდა? – ჰო, მართლა! კი, შენ იყავი. ხა-ხა-ხა! – მომიბრუნდა და ისე მითხრა რაღაც სხვანაირი სიცილით. – კი, შენ იყავი, მაგრამ... ხა-ხა-ხა, მეშინია, რომ... გითხრა!

ვიგრძენი, რომ დამცინოდა უცნაური ნაცნობი.

– მაგრამ... მე ხომ არ მოვტყუებულვარ, მეგობარო?

– ვაიმე, რომ კი! ხა-ხა-ხა! მეც იგივე ვარ, რაც ჩემი ნიღაბი ხეზე! – მითხრა და თვალის დახამხამებაში გაჰქრა ქალი! ათასნაირ ჭინკებსა და კუდიანებში გაერია! სახტად დავრჩი.

...ისევ კაფეში ვიჯექი.

მთვრალი კაფე უკანასკნელ ჭიქას სცლიდა.

ქუჩიდან კიდევ მოისმოდა:

– „Escalade“, „Escalade!“

არ ნელდებოდა სტვენა, ყიჟინა და ყვირილი!..

– ჰო, ეს ბებერი ევროპა! – ვამბობ ჩემთვის – რომ არ ცხრება!

პროზის ბატონი

„უკულმართმა შავად კერილმა ცხოვრებამ განმწირა ყოველს, გამლახა, და არა მყო! არც თავს, არც სხვა ვინმეს მე არ ვეხმარები! დავწრიალებ უცხო მიწაზე – ობოლი, ოხერი და არ ვიცი რას ვურტყა თავი ჩემი, რომ ბოლოს მაინც დავასვენო სული, ხორცი!“

(ლეო ქიაჩელი, ჟენევის დღიურიდან)

***

„ახლა ფული რომ მომდის დედა, ის იმიტომ დამინიშნეს, რომ წერა მოსწონთ ჩემი. თუ ვიცოცხლე, დედა, მე კარგი მწერალი ვიქნები და იქნება ამან ჩემი საქმე კარგად წაიყვანოს. ისე რომ, ამ მხრივ, დედა, ტყუილა არ გიტარებივარ ცხრა თვე და ტყუილა არ გიმეცადინია ჩემს აღზრდაზე. ხომ კარგია, დედა, როცა შვილი მწერალია და ისიც ნიჭიერი, ამ ჩემს ამბავს უფრო გაიგებ და უფრო გაიგებ აწი... მე ბევრი კარგი იმედი მაქვს!“

(დედისადმი ჟენევიდან გამოგზავნილი წერილის ამონარიდი)

***

„ათასნაირი დამთხვევა ხდება ცხოვრებაში, მაგრამ ამისთანა თუ შესაძლებელი იყო, ვერ წარმომედგინა. კინაღამ გავგიჟდი... სიზმარი მეგონა. ხელში მეწირა ფართოდ გაშლილი გაზეთი და თვალს ვერ ვაშორებდი მისი მაღალი ფელეტონის მომსხოდ დაბეჭდილ სათაურს – „ტარიელ გოლუა“. ნათელი იყო, რომ სიზმარში კი არა, ცხადში ვიყავი. საკვირველი იყო ის, რომ ამეღო სწორედ ის გაზეთი, რომელშიც ჩემი რომანის პირველი თავები იყო დაბეჭდილი რედაქციის მიერ ნაწარმოებისადმი მიძღვნილ მცირე შენიშვნით, რომელიც ქებას შეიცავდა“.

(ლეო ქიაჩელი)

***

„და მე ვემზადებოდი ჩემი წარსულის მბობას თავიდან ბოლომდე, რომ ჩემს შემდეგ შენ გცოდნოდა ის, რაც მე ვიცოდი, რისი გადმოცემა არავის შეეძლო“.

(ლეო ქიაჩელის დაგვიანებული წერილი შვილს)

***

„სხვისა არ ვიცი, მე კი, ბერიკაცს, ლეო ქიაჩელის ნაწერი – მოთხრობა თუ ნოველა, ქვესკნელიდან ზესკნელამდე ამაგდებს ხოლმე, გაყინულს, სიბერისგან შემდგარ სისხლს ამიჩუხჩუხებს, ზე აღმაფრენს. ასეთი ლამაზი, სურნელოვანი სიტყვა, გუნდრუკსავით საამო არსად შემხვედრია, როგორც ლეოს ნოველებში... ერთი სიტყვით, მეფეა სიტყვისა... იგი პროზის ბატონია“.

(სოფრომ მგალობლიშვილი)

***

„ვაჟა... გულწრფელი სიხარულით ხვდებოდა ახალი ძალების დამკვიდრებას ჩვენს ლიტერატურაში. განსაკუთრებით უყვარდა გერონტი ქიქოძის კრიტიკული წერილების კითხვა და თუმცა დიდი მოთაყვანე იყო ვასილ ბარნოვისა, ჩვენს პროზაში ახალ ნაკადად თვლიდა ლეო ქიაჩელისა და ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობებს“.

(სიკო ფაშალიშვილი)

***

„აღმოჩნდა, რომ ლეო ქიაჩელის ცხოვრების და მოღვაწეობის შემცველი კინომასალა თითქმის არ არსებობს. შემონახულა თითო-ოროლა ფრაგმენტი, მაშინ, როდესაც უამრავია მასალა ისეთი მწერლების გამოსახულებით, ვისმა წიგნებმაც ავტორთან ერთად დაასრულეს სიცოცხლე. თავმდაბალი, მოკრძალებული კაცი იყო ბატონი ლეო“.

(ჭაბუა ამირეჯიბი)

***

„რა ვუყოთ ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვას“?.. გვადი ბიგვაში იმთავითვე იყო ჩადებული სხვებისთვის გაუგებარი ისეთი სიბრძნე და მყარი ზნეობრივი საფუძველი, რომელიც მკვეთრად გამოარჩევს მას ამ რომანის დანარჩენი პერსონაჟებისაგან. რა თქმა უნდა, არც გვადი იყო სრულიად უნაკლო პიროვნება და მის ქცევაშიც დაიძებნება მრავალი ისეთი რამ, რაც არც მოსაწონია და არც სამაგალითო... მაგრამ განსხვავებით სხვათაგან, გარედან მოტანილი სქემებით რომ მოქმედებენ, იგი მუდამ ერთგულია თავისი თავისა და იმ ზნეობრივი პირველსაწყისისა, რომელსაც ემყარება კაცთა ბუნება.

ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვაში“ დასმულია არა სოციალური პრობლემა, როგორც ეს აქამდე იყო მიჩნეული, არამედ ზნეობრივი“.

(რეზო ყარალაშვილი)

***

„მწერლის დიდი გამარჯვებაა, როცა ის დასამახსოვრებელ სახეებს ქმნის; არიან მწერლები, რომელთა შემოქმედებაში ათეულობით ტიპი, სახე, ხასიათი გვხვდება, მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან ისე მკაფიოდ არიან განსხვავებულნი, ისეთი მკაფიო ინდივიდუალური თვისებებით არიან აღჭურვილნი, რომ მკითხველი ვერ იფიქრებს, რომ ეს ლიტერატურული გმირები ერთ ავტორს ეკუთვნიან.

ლეო ქიაჩელი ისეთ მწერალთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც ძალუძთ ასეთი დასამახსოვრებელი ტიპების შექმნა. თემის ასე ოსტატურად შერჩევა მწერლის გამარჯვების მაუწყებელია, მაგრამ მარტოოდენ თემის შერჩევა როდი კმარა მხატვრული ნაწარმოებისათვის. ეს შემოქმედებითი მუშაობის მხოლოდ დასაწყისია, მთავარია მის დამუშავება, იდეური მიმართულების მიცემა და შემდეგ მხატვრულად ჩვენება... ლეო ქიაჩელი შემოქმედებითი რთული პროცესის ყველა ამ მომენტს ოსტატურად ასრულებს.

მწერალი ახერხებს სათქმელის იმნაირად თქმას, რომ მკითხველი მისდაუნებურად ექცევა იმ გავლენის ქვეშ, რომლის მოხდენასაც ავტორი აპირებდა ნაწარმოების წერისას.

ლეო ქიაჩელი ქართული სიტყვის, ენის ძარღვსა და ძალას სრულყოფილად დაუფლებია და ისე იყენებს მას, როგორც კარგი კალატოზი კირსა და აგურს. მთელ მის შემოქმედებაში – რომანი იქნება თუ მოთხრობა, ნოველა თუ საბავშვო ნაწარმოები, – ყველგან გამართული და ძარღვიანი ქართული ისმის.

უნდა ვაღიაროთ, რომ ლ. ქიაჩელი ფინალის ოსტატია. მხატვრულ ნაწარმოებში წერტილის დასმა, ნაწარმოების თავის დროზე დამთავრება დიდი ოსტატობის საქმეა. ამაზე ბევრადაა დამოკიდებული ნაწარმოების წარმატება. ლეო ქიაჩელი თავის ნაწარმოებებს არამარტო ოსტატურად ამთავრებს, არამედ ფინალში იმდენ აზრს აქსოვს, რომ მკითხველს ბევრ ფიქრს გაუშლის გმირთა მომავალზე, მოვლენათა მსვლელობაზე.“

(ტარიელ კვანჭილაშვილი)

***

მეოცე საუკუნის არცერთ ქართველ მწერალს არ ჰქონია ასე იდუმალებით მოცული, მხოლოდ თარიღების უსინათლო ოთახებში „გამოკეტილი“ ბიოგრაფია... მას საოცრად უყვარდა ნიღაბსა და ბურუსში გამოხვეული თავისი ნამდვილი გვარი“.

(აკაკი თოფურია)

***

„კონსტანტინე ლორთქიფანიძეს ვთხოვე, ბატონო კონსტანტინე, ლეო ქიაჩელის საიუბილეო საღამოზე სიტყვით გამოსვლა მთხოვეს, ისეთს რას ვეტყვი მსმენელს, აქამდე რომ არ გაეგონოთ, აქამდე რომ არ წაეკითხოთ და ნუ დამზარდებით, რამე ისეთი შემაწიეთ, თქვენს მაგივრადაც რომ ვთქვა და მეც პირნათელი გამოვიდე-მეთქი.

ბატონი კონსტანტინე კარგა ხანს დუმდა, მერე მომიბრუნდა და ბრძანა – ჩემი ცხოვრების გრძელ გზაზე ვის არ შეეხვედრივარ, ვის არ გადავყრივარ, ვის გვერდში არ ვმდგარვარ, ვის მხარდამხარ არ გამივლია, მაგრამ... ცოტა ხანს შეჩერდა, – ვისაც უნდა, იმას ეწყინოსო, – ჩაილაპარაკა და უცებ მოსჭრა – უწმინდესი, უნათლესი, უსპეტაკესი კაცი იყო, მასეთი ნათელი სულის, მწერალი კი არა, საერთოდ, ადამიანი არ შემხვედრიაო.

ვინც კონსტანტინე ლორთქიფანიძის სიტყვას იცნობს, დამიდასტურებს, აღმატებით ხარისხს აგრერიგად როდი იყენებს იგი, მილიონში ერთხელ თუ გაუვარდება ხელიდან. აქ კი ლეო ქიაჩელის მისამართით ნათქვამი სამი სიტყვიდან სამივე აღმატებითი ხარისხისა წარმოთქვა.

„უწმინდესი, უნათლესი, უსპეტაკესი!“

სხვა რაღა უნდა დაემატოს...“

(ავთანდილ ყურაშვილი)

***

„ლეო ქიაჩელი – თანამედროვე ქართველ მწერალთაგან ერთ-ერთი უდიდესია. თავის წიგნებში მწერალი გვატყვევებს შემოქმედებითი წიაღსვლებით ცხოვრებისულ მოვლენებში, იძლევა ღირსსახსოვარი ისტორიული ამბების რეალისტურ ასახვას, გვახარებს მხატვრული ოსტატობით“.

(ე. სიკარი)

***

„ლეო ქიაჩელის შესახებ არსებული მემუარისტული მასალიდან აღსანიშნავია ოთარ ჩხეიძის მოგონება. მწერალი იხსენებს, რომ გერონტი ქიქოძეს მეგობარი მისივე პერსონაჟისთვის შეუდარებია: „ჰაკი აძბა არ არის?“ ეს შედარება, მართალია, სალაღობო-სახუმარო ვითარებაში აღმოცენდა, მაგრამ მისი საფუძველი მაინც „ჰაკი აძბას“ უმთავრესი იდეაა – პიროვნების ხსნა, სხვისი გადარჩენა: „ადამიანი უნდა იხსნას. ბრმა მრისხანებას უნდა გადაეღობოს. სიძულვილს უნდა გადაეღობოს. თვითონ უნდა დაიწვას. სხვას მტლედ დაედოს...“ ასე აღიქმებოდა თანამედროვეთა მიერ ლეო ქიაჩელის პიროვნება...“

(ლელა წიქარიშვილი)

***

„ლეო ქიაჩელის (1884-1963) მრავალმხრივი ლიტერატურული მემკვიდრეობა არაერთ შესანიშნავ მოთხრობასა და რომანს აერთიანებს. საგანგებოდაა აღსანიშნავი მისი პროზის ესთეტიკური და მსოფლმხედველობრივი მრავალფეროვნება: მწერალი ადრეული მცირეტანიანი მოთხრობებით, გვევლინება მოდერნისტული პროზის ერთ-ერთ უაღრესად წარმატებულ პიონერად, იმავდროულად ავტორია არაერთი ისეთი თხზულებისაც, ქართული ფსიქოლოგიური (ე.წ. განახლებული) რეალიზმის კლასიკურ ნაწარმოებთა რიგს რომ განეკუთვნება“.

(კახაბერ ლორია)

***

„ქუთაისის მოწაფეები 1903 წელს შევიკრიბენით რომელიღაც კონსპირაციულ ბინაზე, რომელიც, მგონია, მესხეთის ქუჩაზე მდებარეობდა. გაზაფხული იდგა: ახლად აყვავებული ნუშისა და ალუბლის ხეების სურნელება პოეტურ ატმოსფეროს ჰქმნიდა ჩვენი დისკუსიების გარშემო. ბევრი აღარაფერი მახსოვს ჩვენი კამათის შინაარსიდან. მახსოვს მხოლოდ, რომ ყველანი მზად ვიყავით საუკუნო ერთგულება შეგვეფიცა ყველა დროის რევოლუციების ანდერძისა და მარქსის და ენგელსის აჩრდილებისთვის. ამ კრებაზე პირველად შევხვდი ლეო ქიაჩელს, რომელიც იმ დროს ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა. კრებაზე ცოტა დაგვიანებით მოვიდა. მას მოჰყვა მშვენიერი გიმნაზიელი ქალი, ვარო ხოჯაშვილი, რომლის შავგვრემანი სახე და ანთებული თვალები მის თეთრ კანსა და თაფლისფერი თვალების წყნარ გამოხედვასთან საუცხოო კონტრასტს ჰქმნიდა. ლეო ქიაჩელი კამათში მონაწილეობას არ ღებულობდა, მხოლოდ სათვალიდან დიდი ყურადღებით აკვირდებოდა დამსწრეებს“.

(გერონტი ქიქოძე)

***

„დედა, მინდა გირჩიო, რომ ლეო ქიაჩელის წიგნი „გვადი ბიგვა“ წაიკითხო. ეს ერთი ქართველი გლეხის ამბავია. როგორი სახალისო, რამდენად რენესანსული წიგნია! უმალ გაგახსენებს „კოლა ბრუნიონს“: იმგვარივე მსუყე, მახვილგონიერი, ისევე სიცოცხლით გამაძღარი, მისი ყოველი გამოვლინებით დამტკბარი ცხოვრობს გვადი. წაიკითხე, წიგნი უდიდეს სიამოვნებას მოგგვრის“.

(სოფია ჰორდიკაინენი.
დედისადმი მიწერილი ბარათიდან)



მე-2 გვერდიდან

ასე დაიწყო... ასე გრძელდება...

ლეო ქიაჩელის ბიბლიოთეკის ახალი სიცოცხლე

როგორც ხშირად ხდება, ბევრი კარგი საქმე შემთხვევით იწყება. ასე იყო ამჯერადაც. 2010 წლის 26 ივლისს ფეისბუკზე წამოვიწყეთ პოლილოგი ჩვენი მუნიციპალიტეტის დიდი შვილის – ლეო ქიაჩელის თაობაზე. მეგობარმა იკითხა, ხომ არ იცით, რა მდგომარეობაშია ქიაჩელის მუზეუმიო. ბევრი რამ ითქვა, მაგრამ კონკრეტულად ვერავინ ვერაფერი გვითხრა. იქ აღვნიშნე, რომ ობუჯს მეორე დიდი შემოქმედის ნიკოლოზ შენგელაიას მუზეუმიც ჰქონდა და დაიწვა განუკითხაობის დროს. იყო თითქოს აღდგენის მცდელობა, მაგრამ რით დამთავრდა ის, არ არის ცნობილი, „არადა, ერთ პატარა სოფელში ქართული კულტურის ორი უდიდესი მოღვაწის სახლ-მუზეუმი, გვერდიგვერდ განლაგებული! ბევრი სოფელი ვერ დაიკვეხნიდა ამხელა სიმდიდრით.

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტს მარტო არ ძალუძს, ალბათ, საკუთარის სახსრებით ააღორძინოს ორივე მუზეუმი, მაგრამ კულტურის სამინისტრო უნდა ჩაერთოს ამ საქმეში და ერთობლივი ძალისხმევით უნდა გააცოცხლონ და ააღორძინონ ეს მნიშვნელოვანი კერები“. – ვწერდი მაშინ.

ქიაჩელის მუზეუმი და ბიბლიოთეკა გარედან მოყვარეს რომ უხარებდა თვალს, სავალალო მდგომარეობაში ყოფილა და ამაში 2023 წლის 15 აგვისტოს საკუთარი თვალით დავრწმუნდი, როცა ალექსანდრე ჯინჭარაძესთან ერთად ვეწვიე ობუჯს. იმ დღეს ობუჯელ მეგობრებთან დავით ფიფიასთან, მანანა კაკაჩიასთან, გოდერძი ფიფიასთან საუბრისას შევთანხმდით, რომ ყველას რაღაც გვაქვს გასაკეთებელი ლეო ქიაჩელის დიდებული კერის ასაღორძინებლად.

ამას მოჰყვა მუნიციპალიტეტის მერიის გააქტიურება – მუზეუმისა და ბიბლიოთეკის შენობათა სარეაბილიტაციო საქმიანობის წამოწყება. შეკეთდა ბიბლიოთეკის ნაწილი, ამჟამად იცვლება სახურავი და სრულდება რემონტი...

ქუთაისში დაბრუნებისთანავე დავუკავშირდი რიტა წაქაძეს, ილია ჭავჭავაძის სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილეს და ვთხოვე გარკვეული რაოდენობის წიგნები გამოეყო ობუჯში ჩასატანად. რიტამ სოლიდური რაოდენობის წიგნებთან ერთად სხვა საჩუქრებიც მოიძია და 15 დეკემბერს ჩავიტანეთ კიდეც ობუჯში. დიდი იყო ობუჯელი მეგობრების სიხარული. მრავალი წლის განმავლობაში ხომ ამ ბიბლიოთეკას წიგნიც არ შეჰმატებია და პირველად მოხდა, რომ მისი თაროები სოლიდური რაოდენობის ფონდით შეივსო.

იმავე დღეს იქვე ჩავატარე უკანასკნელ წლებში გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ გამოქვეყნებული ჩემი წიგნების (რომანი „ცეცხლოვანი მამლის წელიწადი“, ლექსების რჩეული კრებული „წერა“ და მოთხრობების წიგნი „ძახილი“) წარდგენა. რადგანაც არცერთი წიგნის წარდგენა, ჩემი ამ მოვლენის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულების გამო არასოდეს მომიწყვია, სიმბოლური გამოვიდა და მეტად დასამახსოვრებელიც, რმდენადაც ეს ფაქტი ჩემს მშობლიურ მუნიციპალიტეტსა და დიდი ლეო ქიაჩელის სახელს დაუკავშირდა. ავტოგრაფიანი წიგნები საჩუქრად გადავეცი ღონისძიებაზე მობრძანებულ მეგობრებს.

ჩემი თხოვნით ხელოვნების სხვადასხვა დარგისადმი მიძღვნილი შესანიშნავი ლიტერატურა და მხატვართა ალბომები გამოუგზავნა ბიბლიოთეკას ხელოვნების სასახლის დირექტორმა გიორგი კალანდიამ, რაც ასევე თბილისიდან ჩავუტანეთ ადრესატს.

ქუთაისელმა მწერლებმა ავთანდილ ყურაშვილმა, თემურ ამყოლაძემ, გია ხოფერიამ, იოსებ იარღანაშვილმა, გიზო თავაძემ თავიანთი წიგნები, ლიტერატურული ჟურნალები და გაზეთები გამოუგზავნეს ბიბლიოთეკას. ასევე ასობით წიგნი შეჰმატეს ბიბლიოთეკას ბატონმა მერაბ კეზევაძემ, ქალბატონებმა ნანული ცხედიანმა, ლოლიტა ჭოლაძემ...

წინ მრავალი საინტერესო ღონისძიებაა. დაგეგმილი გვაქვს ლეო ქიაჩელის დღის დაწესება და სამეცნიერო-ლიტერატურული შეხვედრების მოწყობა აღნიშნულ ბიბლიოთეკაში... შემოქმედებითი საღამოებისა და წიგნის განხილვების ჩატარება ლიტერატურის მოყვარული საზოგადოებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის.

საინიციატივო ბირთვი, ფაქტობრივად, შეკრულია. მომდევნო ნაბიჯი სამუშაო ჯგუფად ჩამოყალიბება და საქმიანობის გაჩაღება უნდა იყოს. ვიმედოვნებთ, სწორი დაგეგმვის შემთხვევაში, ჯგუფი ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთებას შეძლებს დიდი მწერლის სახლ-მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მნიშვნელოვან კულტურის კერად ჩამოყალიბებისთვის.

საძირკველი ჩაეყარა ერთჯერად ელექტრონულ გაზეთს „ლეო ქიაჩელი“, დაგეგმილია მისი რეგულარულად, წელიწადში ერთხელ, მწერლის დღესთან დაკავშირებით ნაბეჭდი სახით გამოცემა. ის მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ლეო ქიაჩელის ცხოვრებისა და შემოქმედების შემდგომი პოპულარიზაციის საქმეში.

– ვგრძნობთ, რომ ობუჯის ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. წინ დიდი მომავალი გველის! – ითქვა იმ დღეს ადგილობრივთა მხრიდან. სასიამოვნოა, ამგვარი იმედის საფუძველი თუ გახდა ჩვენი მოკრძალებული მცდელობა დიდი ლეო ქიაჩელის ფუძეზე მნიშვნელოვანი კულტურისა და განათლების კერის ასაღორძინებლად...

იქნებ არც ის დროა შორს, როცა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის ობუჯის ტერიტორიულ ერთეულში, ბატონი *დავით ფიფიას* ოცნებაც ახდება:

„ობუჯს არაერთი დიდი მოღვაწე აღუზრდია ქვეყნისთვის, მაგრამ ლეო ქიაჩელი მათ შორისაც გამორჩეული ფიგურაა! დიდი მწერალი, რომლის გაუხუნარი სახელი საუკუნეებს გადასწვდება!

ერთი კარგი იდეა დამებადა, მაგრამ განხორციელება რთულია, დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. იქნებ მწერლის 150 წლის იუბილემდე მოხერხდეს მისი აღსრულება: ლეოს შემოქმედებიდან მთავარი პერსონაჟების – გვადი ბიგვას, ტარიელ გოლუას და ჩემი საყვარელი ბერისა და ყორანის სკულპტურები დაიდგას სოფლის ცენტრში. – ესაა ჩემი დიდი ხნის ოცნება!“

დავძენდი: ჩემი ოცნება ასევე დამთვალიერებლების ხმაურით სავსე ლეო ქიაჩელის სახლ-მუზეუმი და მკითხველებით გადატვირთული ბიბლიოთეკაა!

მოამზადა სერგო წურწუმიამ.